# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 25 ოქტომბერი. 2021 წ. №192 (9311) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# სააკაშვილის და ნაცების ეს მასკარადი 30 ოქტომბერს დასრულდება!

**დიახ, სააკაშვილის ეს მასკარადი და ეს თეატრი 30 ოქტომბერს დასრულდება,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს გუშინ თელავში განუცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სააკაშვილი არ იქნება პრივილეგირებული და თუ ის შიმშილობს, დაემორჩილება ციხის ადმინისტრაციის წესებს და პროტოკოლს.

**ხალხი დაიღალა, სირცხვილია, უბრალოდ. ჩანს ამაშიც დამოკიდებულება. როცა პრეზიდენტი იყო, მას ეგონა, რომ კანონზე მაღლა იდგა, ამიტომ ჩაგრავდა მოსახლეობას, ამიტომ ართმევდა ადამიანებს ბიზნესს, სახლებს, აწამებდა და აუპატიურებდა ხალხს მისი პარტია და ჯალათები. ახლა ჩამოვიდა მისი უგუნური, მოკლე ჭკუით და გაუთვლელი ნაბიჯებით და ჩაჯდა ციხეში. ის დიდხანს იჯდება ციხეში... სააკაშვილი არ იქნება პრივილეგირებული. ის მატყუარა კაცია, სიმულანტობს, ატყუებს და შეურაცხყოფას აყენებს საზოგადოებას. ამიტომ, ის თუ თავისი ნებით შიმშილობს, დაემორჩილება ციხის ადმინისტრაციის წესებს და პროტოკოლს...**



## სოსო მანჯავიძე:
## სახელმწიფო გავაუქმოთ, რადგან მათი მზე – დავით აღმაშენებელი შიმშილობს? ④

## ② გოგა ხაინდრავა:
## სააკაშვილი რუსულ თამაშს ვეღარ ითამაშებს, თუ ითამაშებს, მხოლოდ დომინოს...

## ენდერს ვიმბუში: ②
## სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარი არ არის!



## მაშ ასე: რა გააკეთა, რაც ვერ „მოასწრო და მოიფიქრა“ აღმაშენებელმა!.. ③



**რეპლიკა**

## საოცნებო ხელისუფლებავ!

**– ღარიბაშვილო, კობახიძევ, მდინარაძევ... და რაც მთავარია, ბიძინა ივანიშვილო!**

ჩემი მეგობრის, სულმნათ ჭაბუა ამირეჯიბის ხსოვნის საღამოზე რომ შევხვდით, მაშინ გითხარით: თუ სამართლიანობას არ აღადგენთ და დამნაშავეებს კანონის მთელი სიმკაცრით არ დასჯით, იცოდეთ, საქართველო სიმშვიდეს და განვითარებას ვერ ეღირსება, სამართლიანობის არაღდგენის შემთხვევაში კი, ქვეყანაც და თქვენც ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდებით... თქვენი უნიათობის და უპრინციპობის, თავსმოხვეული კოჰაბიტაციის გამო, სამწუხაროდ, აგიხდათ ყველაფერი!..

**ომარ მარგველაშვილი**

**მე, როგორც საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი, არ დავუშვებ სავალდებულო ვაქცინაციას,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, მოქალაქეები კი არ უნდა აიძულონ, არამედ უნდა დაარწმუნონ, რომ ვაქცინაცია ერთადერთი, უალტერნატივო გამოსავალია.

**„მინდა, ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ, მე, როგორც საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი, არ დავუშვებ სავალდებულო ვაქცინაციას. მინდა, ეს ყველამ კარგად იცოდეს. ჩვენს მოქალაქეებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება და საშუალება. მე ყველაფერი გავაკეთე, რათა დროულად ჩამომეტანა საკმარისზე მეტი ვაქცინა, მილიონობით ვაქცინა ჩამოვიტანე და პირადად ვიყავი ჩართული ამ მოლაპარაკებების პროცესში. ყველანაირი ვაქცინა ჩამოვიტანეთ საქართველოში. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ჩვენი მოქალაქეები, უნდა დავარწმუნოთ და არა ვაიძულოთ, რომ ვაქცინაცია არის ერთადერთი, უალტერნატივო გამოსავალი.**

**უნდა ჩავერთოთ, ავიცრათ. ჩვენ ორი მილიონი აცრა ჩავატარეთ და მილიონი მოქალაქის აცრა შევძელით სულ რაღაც სამ თვეში. მე ვფიქრობ, ეს არის საკმაოდ კარგი ეფექტი, ასე ვთქვათ, ეფექტური შედეგი, მაგრამ ასევე, მინდა, ვთქვა, რომ ეს პროცესი არ არის მხოლოდ ჩვენთან. ძალიან ბევრ ევროპულ სახელმწიფოში, მათ შორის ამერიკაში, ყველგან არის ანტივაქსერების საკმაოდ მძლავრი კამპანია და რეალურად, ჩვენ ვიცით, რომ ეს არის დეზინფორმაცია. ვიმეორებ, ჩვენ უნდა ვენდოთ მეცნიერებს, არ უნდა დავუგდოთ ყური, არ უნდა დავუჯეროთ ყალბ ინფორმაციებს“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.



## ეკატერინე ტიკარაძე: ვერ ვხედავ რაიმე საფუძველს იმისთვის, რომ დამატებითი შეზღუდვები დაწესდეს

⑪



## ამირან გამყრელიძე: ყინული გალღვა, მიმდინარეობს ვაქცინაციის მარათონი

# სახელმწიფო სავალდებულო ვაქცინაციას არ დაუშვებს!

# თუ პატიმარ სააკაშვილს დასჭირდება დამატებითი კვლევები, ყველა პირობაა შექმნილი ციხის საავადმყოფოში!



**„სააკაშვილის პირდაპირი დავალება იყო, რომ იგი დაიწყებდა სიმულიანტობას, რომ თითქოს მისი მდგომარეობა მძიმდება, რომ როგორმე გადაყვანილი ყოფილიყო კერძო კლინიკაში. წარმოიდგინეთ, როგორი გეგმა აქვთ, მისი ილუზიებით, 30 ოქტომბერს მათი მხარდამჭერების მობილიზება მოხდებოდა და გაიყვანდნენ საავადმყოფოდან მისი მხარდამჭერები, სააკაშვილს და გაათავისუფლებდნენ. წარმოიდგინეთ, როგორ ილუზიებში არიან, რომ კაცი ჩამოვიდა და თავისი ფეხით შევიდა ციხეში. როგორი ბრიყვული და გაუთვლელი, გაუგებარი გეგმა გააკეთეს და აღმოჩნდა იქ, სადაც აღმოჩნდა. მეორე — წარმოიდგინეთ, როგორ აჯერებენ საკუთარი ამომრჩევლების ვიწრო ჯგუფს, რომ ეს მორიგი პროვოკაცია დადგან. როგორც ვერ განახორციელა მსგავსი ბინძური პროვოკაცია, როცა უნდოდა რომ გამოსულიყო რუსთაველზე და მომხდარიყო 2-3 ოპოზიციური ლიდერის მკვლელობა და ამით მომხდარიყო სრული დესტაბილიზაცია ქვეყანაში, ასევე ჩაეშლებათ და ჩაეშალათ ეს გეგმაც. მინდა ვთქვა, რომ მცდარი ინფორმაციაა, მინისტრ ტიკარაძეს არ უთქვამს, თავადაც გააკეთებს ამის თაობაზე კომენტარს. ეს არ არის მისი პრეროგატივა. ეს ერთი. მეორე ის, რომ მინისტრმა რატი ბრეგაძემ მას, როგორც კოლეგას მიმართა თხოვნით და ეს ჩვენი საერთო გადაწყვეტილებაა, რომ ექიმების ჯგუფი ჩართულიყო დამატებითი პრევენციის მიზნით. ასე, რომ, თუ პატიმარ სააკაშვილს დასჭირდება დამატებითი კვლევების ჩატარება, ყველა პირობაა შექმნილი ციხის საავადმყოფოსი, ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება და აღარ გადაიხედება“, —** განაცხადა გუშინ ირაკლი ღარიბაშვილმა.

# რაც მალე შეეგუებიან ამ წაგებას, კრახს, მით უკეთესი მათთვის! ვურჩევდი, დროზე იფიქრონ სხვა სამსახურზე

**„როგორი სიმართლეც აღმოჩნდა სამეგრელოში ჩვენ მიერ დაგეგმილი რაღაც გიჟური სპეცოპერაციის ჩატარება, ასეთივე სიმართლეა დღევანდელი ბრიფინგიც, რომელიც გვარამიამ, ამ არარაობამ ჩაატარა“! —** ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თიანეთში ჟურნალისტებს განუცხადა. მთავრობის მეთაურის შეფასებით, ისინი ატყუებენ არა მხოლოდ საკუთარ ამომრჩეველსა და მთლიანად მოსახლეობას, არამედ საკუთარ თავსაც...

**„გასაგებია, რომ ამას აკეთებენ იმისთვის, რომ დაძაბონ ვითარება, საერთაშორისო საზოგადოების თვალში რაღაც აბსურდული თეატრები დადგან, მაგრამ ეს მცდელობაც კრახით დასრულდება — ჩვენ მშვიდობიან არჩევნებს ჩავატარებთ და ყველა მუნიციპალიტეტში მოვიგებთ. წარმოიდგინეთ, ამ რადიკალურმა ოპოზიციამ წააგო არჩევნები, რეფერენდუმი წააგო, ჩვენ 47%-იანი შედეგი დავდეთ, ხალხმა ნდობა გამოგვიცხადა და თქვა, რომ ჩვენ გვსურს, დასრულდეს ეს დესტაბილიზაცია, „ქართულმა ოცნებამ“ გააგრძელოს მმართველობა და მშვიდობიანი პერიოდი დადგეს მომდევნო 3 წლის განმავლობაში. მათი მთავარი ლიდერი, ბელადი, ეს ავადმყოფი კაცი, თავისი ფეხით შევიდა ციხეში, ამის მიუხედავად, გამოდიან და ყოველდღე საუბრობენ, რომ არჩევნებში გაიმარჯვეს და ხალხს ეუბნებიან, 30 ოქტომბერს საბოლოოდ გავიმარჯვებთო. წარმოიდგინეთ, როგორ აბსურდსა და ილუზიებში არიან. რაც მალე შეეგუებიან ამ წაგებას, ამ კრახს, სააკაშვილის გრძელვადიან პატიმრობას, მით უკეთესი მათთვის. ვურჩევდი მათ, რომ დროზე იფიქრონ სხვა სამსახურზე, სხვა საქმიანობაზე“, —** განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# ოპოზიცია ვერც ერთ ქალაქში ვერ იმარჯვებს

**ჩვენ ყველა მუნიციპალიტეტში მოვიგებთ არჩევნებს, მეორე ტურს. ტყუილად ირჯებიან დესტრუქციული ოპოზიციის წარმომადგენლები, ვერც ერთ ქალაქში ვერ იმარჯვებენ, ეს ვიცით კვლევებით, გამოკითხვებით, —** ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა თიანეთში კანდიდატებთან და შტაბების ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

პრემიერის თქმით, მმართველ გუნდს მოსახლეობის გადაწყვეტილების სჯერა. ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ **საჭიროა, მეტი კოორდინაცია, აქტიური მუშაობა სამხარეო ადმინისტრაციასთან, ცენტრალურ მთავრობასთან**.

# ნატოს შეფასების მეორე დონე დაძლიეს

**„ნატოს ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამის“ (OCC E&FP) ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მე-3 ასეულმა ნატოს შეფასების მე-2 დონის (NEL-2) საველე სწავლება ჩაატარა და პროგრამა წარმატებით დაასრულა. ვაზიანის სასროლეთზე გამართულ სამხედრო წვრთნებს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდალი, ბრიგადის გენერალი როლანდ ძნელაძე დაესწრო.**

მე-12 ბატალიონის მე-3 მსუბუქი ქვეითი ასეულის სამხედროებმა ბრძანების გაცემის, მოტორიზებული პატრულის, ჩასაფრებაზე რეაგირების, მავთულხლართიანი დაბრკოლების გადალახვის, სამედიცინო ევაკუაციისა და უკან გამოსვლის სავარჯიშოები განახორციელეს. სწავლებაში ჯავშამანქანა „დიდგორი“ და სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანა „დიდგორი მედევაკი“ მონაწილეობენ. **პროგრამის ბოლოს მხარეებმა დოკუმენტზე ხელმოწერით დაადასტურეს, რომ მე-12 ბატალიონის „ჩარლი“ ასეული სრულად არის მზად მიიღოს მონაწილეობა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში. აღნიშნულ პროგრამას საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ფ-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის საბრძოლო მომზადების სამმართველო ხელმძღვანელობს.**

# თანამედროვე სტანდარტების სახლებს ვუშენებთ...

**დევნილი ოჯახების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახლები შენდება. მიმდინარე სამუშაოებს დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ბესარიონ სიმონიშვილი ადგილზე გაეცნო, —** ამის შესახებ ინფორმაციას დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ავრცელებს.

**„სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში შევხვდით დევნილ ოჯახებს, რომლებსაც მათივე მიწის ნაკვეთებზე სახლებს ვუშენებთ. მშენებლობა კარგი ტემპით მიმდინარეობს და ეს ოჯახები ახალ სახლებში მალე გადმოვლენ“, —** განაცხადა ბესარიონ სიმონიშვილმა. პროექტი გერმანიისა და საქართველოს მთავრობების ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად გამოყოფილი გრანტის ფარგლებში ხორციელდება და ქვეყნის მასშტაბით, 200-ზე მეტი სახლის აშენებას ითვალისწინებს.

# ენდერს ვიმბუში: სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარი არ არის!



„რადიო თავისუფლების“ ყოფილი ხელმძღვანელი და ამერიკული საგარეო პოლიტიკის საბჭოს მკვლევარი, ენდერს ვიმბუში „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი საკუთარი თავის მსხვერპლად წარმოჩენას ცდილობს, თუმცა ის არც მსხვერპლია და არც პოლიტიკური პატიმარი.

**„სააკაშვილმა 2012 წლის შემდეგ საკუთარი არჩევანი გააკეთა, საკუთარი სურვილით უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე და მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. ის ჯერ წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდეგ პოლონეთში, უკრაინაში, ნიდერლანდებში — საინტერესო ფაქტი ისაა, თუ ვინ აფინანსებდა მის ამ მოგზაურობებს, ეს უზარმაზარ თანხებთან არის დაკავშირებული. ვიღაცამ აუცილებლად უნდა დაუსვას მას ეს კითხვები. შემდეგ უკრაინაში დაბრუნდა და ბოლოს უკრაინიდან საქართველოში ჩავიდა დესტაბილიზაციის მიზნით. მე არ მაქვს სააკაშვილის მიმართ სიმპათია. ის არ იყო კარგი პატრიოტი. ის დამნაშავედ არის ცნობილი საქართველოს სასამართლოს მიერ. მან იცოდა, რომ როცა საქართველოში დაბრუნდებოდა, დაიჭერდნენ, თუმცა ამის არ სჯეროდა. ის დააპატიმრეს და წაუყენეს ახალი ბრალიც. არ მგონია ახლა რაიმის გაკეთება შესაძლებელი იყოს. მან ყველა ეს არჩევანი თავად გააკეთა და ის აქ მსხვერპლი არ არის,“** — ამბობს ვიმბუში „ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს.

მისი აზრით, სააკაშვილი სამართლიანად არის გასამართლებული და მსხვერპლნი ის ადამიანები არიან, „რომლებიც სააკაშვილის გამო დაზარალდნენ. ვიმბუში ევროპარლამენტარების შეფასებებზეც საუბრობს და მკაფიოდ აცხადებს, რომ მისი აზრით მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარი არ არის.

**„ჩემი პოზიციაა, რომ ის არ არის პოლიტიკური პატიმარი. სამწუხაროდ მას ჰყავს მეგობრები ვაშინგტონში და ბრიუსელში, რომლებიც ასე ამაყად ამბობენ, რომ ის პოლიტიკური პატიმარია. როდესაც ის პრეზიდენტი იყო, მან ასეთ ადამიანებს დახმარება გაუწია. დააფინანსა მათი კვლევითი ცენტრები და გააკეთა ყველაფერი რათა ამ ადამიანებისთვის ესიამოვნებინა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ქართველებმა ახლა უნდა გააკეთონ საკუთარი არჩევანი და გააგრძელონ სვლა წინ. ბატონი სააკაშვილი წარსულია და ის ციხიდან ექვს წელიწადში გამოვა. იმედი მაქვს, ის ამის შემდეგ მშვიდად წავა პოლიტიკიდან ან თუ სურვილი ექნება იყოს პოლიტიკოსი დარჩება პოლიტიკაში,“** — აცხადებს ვიმბუში. მისი აზრით, საქართველოში პოლიტიკური ელიტა საკუთარ თავზე ზრუნავს და არა მოქალაქეებზე, რაც უნდა შეიცვალოს და აქვე აცხადებს, რომ საქართველომ გეოპოლიტიკური სტრატეგია უნდა შეიმუშაოს.

**„საქართველოში სრულყოფილი დემოკრატია არ არის და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს. 2012 წლიდან მოყოლებული, ყველა გავლენიანი ორგანიზაცია, რომელიც არჩევნებს აკვირდებოდა, ამბობს, რომ არჩევნები იყო სამართლიანი და თავისუფალი. მათ თქვეს, რომ იყო გარკვეული პრობლემებიც, რაც უნდა გამოსწორდეს. ამიტომ მე ვურჩევ საქართველოს მოსახლეობას იარონ წინ. საქართველოს პრობლემა ის არის, რომ ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური ელიტა, რომელიც ქვეყანაზე იზრუნებს. ისინი უმეტესად საკუთარ თავზე არიან ორიენტირებულები. ეს უნდა შეიცვალოს და მჯერა, რომ შეიცვლება. რაღაც მომენტში პოლიტიკურმა ელიტამ უნდა გააცნობიეროს, რომ საქართველოს რეალური ცვლილებები და გეოპოლიტიკური სტრატეგია სჭირდება,“** — ამბობს ამერიკის ხმასთან საუბრის დროს ენდერს ვიმბუში.

# გოგა ხაინდრავა: სააკაშვილი რუსულ თამაშს ვეღარ ითამაშებს, თუ ითამაშებს, მხოლოდ დომინოს...



კინორეჟისორ გოგა ხაინდრავას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილი რუსული მედიის ყურადღების ცენტრშია. მისი თქმით, რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც აწყობს და სჭირდება არეულობა უკრაინასა და საქართველოში, სადაც დესტაბილიზაციის ფაქტორია საქართველოს მესამე პრეზიდენტი.

**„უკრაინაშიც და საქართველოშიც დესტაბილიზაციის ფაქტორს თამაშობდა სააკაშვილი. ახლა ის რუსულ თამაშს ვეღარ თამაშობს და... თუ ითამაშებს, მხოლოდ დომინოს, მაგრამ, არ მგონია, რომ საკანში ვინმესთან ერთად დასვან, ისეთი მშიშარაა, რომ ამას თავად არ მოინდომებს. ამიტომ მოუწევს, მარტო ითამაშოს დომინო“, —** ამის შესახებ კინორეჟისორმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა.

**„ძალიან ყურადღებით ვადევნებ თვალს, თუ რა ხდება მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით რუსულ პრესაში, ყველა წამყვანი რუსული პუტინისტური მაუწყებლობა, სააკაშვილით იწყებს და სააკაშვილით ამთავრებს ყველა საინფორმაციო გამოშვებას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იქ ინტერესი ძალიან დიდია. რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს პუტინის რუსეთს საქართველოსადმი?! მათი ინტერესის სფეროა მაცივარში ჩასმული კაცი, რომელიც აქ გამოგვიგზავნეს. ამას დიდი ხანია ვამბობ და ვინ მეთაურობს ამას? სხვათა შორის, წამოცდენები ხშირი აქვთ. იმ დღეს კადრს აჩვენებდნენ და უკან უცებ გამოჩნდა ალასანია... არ დაგვავიწყდეს, რომ ალასანია არის რუსეთის „ფეესბეს“ თანამშრომელი. მთელი ამ წლების განმავლობაში მე ვესწრებოდი უშიშროების სხდომებს, სადაც ის იჯდა. ცხინვალის ის კატასტროფა, პირდაპირ იყო ალასანიასა და სააკაშვილის კისერზე“, —** აღნიშნა ხაინდრავამ.

პოლიტიკური პამფლეტი



# მაშ ასე: რა გააკეთა, რაც ვერ „მოასწრო და მოიფიქრა“ ალმაშენებელმა!..



**საქართველოს სიამაყე – დავით IV (აღმაშენებელი) – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვან-შა და შაჰან-შა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა“:**

**16 წლისა ავიდა სამეფო ტახტზე და 52 წლისა გარდაიცვალა. და ქვეყნის თავკაცობის 36 წლის შემდეგ შთამომავლობას დაუტოვა უძლიერესი სახელმწიფო „ნიკოფსიითგან, დარუბანდისა ზღვამდე და ოვსეთიდან სოერად და არგეწამდე“.**

საინტერესო და საკვირველია ის, რომ:

– 26 წლის იყო, როცა თურქებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა.

– 27 წლისამ ქვეყნიდან განდევნა სელჩუკები.

– 29 წლისამ შეიერთა კახეთ-ჰერეთ.

– 31 წლის ასაკში შეიმუშავა და დაამთავრა უმნიშვნელოვანესი საეკლესიო რეფორმა.

– 32 წლისამ – გაატარა სამხედრო რეფორმა: „ქართველთა ლაშქრის“ პარალელურად, შექმნა მუდმივმოქმედი „ყივჩაყთა ლაშქარი“ და „როქის სპა“ – დაქირავებულთა ლაშქარი. ასევე, დანერგა ხელისუფლების ინფორმირების სრულიად ახლებური სისტემა – „მსტოვართა“ ინსტიტუტი.

– 33 წლისამ საძირკველი ჩაუყარა იყალთოს, გელათის აკადემიების მშენებლობას.

– 34 წლისამ გაატარა სამართლებრივი რეფორმა. ამავე წელს ქვეყანა გაანთავისუფლა თურქ-სელჩუკებისგან.

– 48 წლისამ გაიმარჯვა დიდგორის ომში!

– 49 წლისა დაეუფლა თბილისს.

– 51 წლისამ გაანთავისუფლა ბოლო ქართული ქალაქი დმანისი.

– 52 წლისა გარდაიცვალა...

ჰოდა, ამ „პაწია“ საქმეებს გადაყოლილმა ჩვენმა დიდმა მეფე დავითმა მოახერხა საქართველის აღზევება მობილური ტელეფონის, კომპიუტერის, ინტერნეტის, ინგლისურის და მსოფლიო ბანკის გარეშე; მით უმეტეს, იმ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბადებულნი „ხერხემალი“ ბიჭები – ადეიშვილ- მერაბიშვილ-ახალაია-კოდუები; არც კოლუმბს ჰქონდა აღმოჩენილი ამერიკა, არც ჭყონდიდელს ჰქონდა პრეტენზია დამსგავსებოდა ჯორჯ ვაშინგტონს და კონდოლიზა რაისის წინაპრები ჯერ კიდევ ტყეში ხეებზე ხოხიალობდნენ.

ამ უძნელეს ვითარებაში, დავით აღმაშენებელმა, სამწუხაროდ, ვერ „მოასწრო“ სამი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრა, რაც აღიარა და დაშიფრა კიდეც თავის პოლიტიკურ ანდერძში, რომელიც საჯაროდ ცნობილია, როგორც „გალობანი სინანულისანი“...

შთამომავლობისთვის განკუთვნილი ეს ანდერძი გადატანილ იქნა ორ გრაგნილში, რომლებსაც მოათავსებდა მოვარაყებულ პაწია ყუთში და დამარხული მეფის ნეშტთან ერთად.

ეს ყუთი უნდა გახსნილიყო მხოლოდ და მხოლოდ მაშინ და უნდა გაეხსნა მხოლოდ და მხოლოდ იმ ღვთითკურთხეულ ადამიანს, რომელიც დაიკავებდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ტახტს. თანაც, გამოიჩენდა სიბრძნეს და ეახლებოდა დიდი წინაპრის განსასვენებელს მისი ჩანაფიქრისადმი ერთგულების ფიცის დასადებად.

მრავალი საუკუნის შემდეგ, დრომ და უზენაესმა ინებეს, რომ ეს დანაბარები 2004 წლის დასაწყისში აღესრულებინა საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტს.

და როცა ამ პაწია, მოვარაყებული ყუთიდან პირველი(!!!) გრაგნილი ამოიღეს, გაიხსნა კიდეც, მეფის ანდერძის „საიდუმლოც“.

მრავალსაუკუნოვან ისტორიული ქარტეხილების განჭვრეტის განსაცვიფრებელი უნარის მქონე დიდი დავით მეფე ანდერძში ნართაულად(!) ავალებს(!!!) საქვეყნო საქმის გამგრძელებლად დანიშნულ ენმ-ს კონკრეტულ ლიდერებს საქართველოს გაერთიანება – გაბრწყინების პროცესის დაგვირგვინებას. კერძოდ ის წერს:

**1. „მდაბიოობიდან აღზევებული ჭიათურელი „თავადის“ შთამომავალმა ჯუნიორ-ვაშაძემ, შეიმუშაოს გეგმა – „სტრატეგია „ალმაშენებელი“, რისი განხორციელების შედეგად, მორალურად, სამართლებრივად და პრაქტიკულად გამოსწორდება(!!!) ჩემი ყველაზე „ტრაგიკული და უპატიებელი შეცდომა – „დიდგორის ბრძოლაში გამარჯვება“, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი თურქ-სელჩუკების შთამომავლობასო“.**

ეს „დოკუმენტი“, (რომელსაც, მეფის განჭვრეტილი სიბრძნე-ვარაუდით, „იუსტიციის სახლების“ მსგავსად უყოყმანოდ აღიარებს ევროპარლამენტი, ევროპის სახალხო პარტია, ნაურუს პრეზიდენტი და ჰილარი კლინტონი) შექმნიდა საფუძველს, რათა თურქ-სელჩუკების მემკვიდრე სახელმწიფო გადაქცეულიყო ჩვენ საუკუნოვან ისტორიულ(!) მეგობრად(!) და... უსაფრთხოების გარანტად;

იგი შექმნიდა იმ პირობებს, როცა ქართველი ქალები არა მარტო გახდებიან მოსამსახურენი, დამლაგებლები, მრეცხავები, ხასები ბობოლა თურქების ოჯახებში, არამედ ქმრებს და მეზობლებს დაასაქმებენ თურქული ჩაის მკრეფავებად და მტვირთავებად.

როგორც ხედავთ, TAKO – ჭყონდიდელის მიერ მორიგ პრემიერად დანიშნულმა ჯუნიორ-ვაშაძემ მეფის ეს სურვილი მარტო წარმატებულად კი არა, გადაჭარბებითაც(!!!) შეასრულა და მთელ საქართველოს უკვე აჟრიალებს ტელერადიოეთერიდან გეგმა – „სტრატეგია „ალმაშენებლის“ ხსენება.

**2. „აჭარის ფაშად აღიარებულ ლევან ვარშალომიძეს ვავალებ: შექმნას ქვეყნის დამცველი სამხრეთის კარი – ქალაქი ბათუმი, რომლის ხრიოკ თუ ჭაობ მიწაზე, ქათქათა დასახლების ნაცვლად, პირდაპირ ზღვის პირას, ყივჩაღების მსგავსად, ჩამოასახლოს ათეულ ათასობით თურქი, იმ განზრახვით, რომ...“**

ფაქტია, ვაშალომიძემაც პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვა „ანდერძი“ და ზედმიწევნით ზუსტად და ენთუზიაზმით შეასრულა დავალება:

ააშენა ბათუმი, ბევრი მეჩეთიც, დაანგრია ფერია, ჩამოასახლა და სასათბურე პირობები შეუქმნა ათასობით უცხოელს, მათ მიჰყიდა მიწები და, რაც ნიშანდობლივია, გამოაცხადა თურქეთი ისტორიულ(!) მეგობრად(!) და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში განამტკიცა თეზა, რომ, თურმე ერდოღანის ოსმალეთი დაგვიცავს ოკუპანტი რუსეთისგან. იმ რუსეთისგან, რომლის მეოხებითაც და ქართული ჯარის თავდადებით, ასი წლის წინ, სწორედ ეს ქალაქი და კუთხე გაიწმინდა თურქი მტაცებლებისგან და განთავისუფლდა მათი 300-წლოვანი ბატონობისგან;

**3. „21-ე საუკუნის საქართველოს „ტახტის“ მფლობელს მიხეილ სააკაშვილს ვავალებ წაშალოს ჩემი გვარი ისტორიულ დოკუმენტებსა და ფოლკლორში, და ოქროს ასოებით ჩაწეროს თავისი, როგორც „თანამედროვე ქართული სახელმწიფოს(!) შემქმელის(!)“, თბილისის გამანთავისუფლებელის, არაბ-რუსების განმდევნის, ბაგრატის ტაძრის აღმშენებლის და გელათ-იყალთოს აკადემიების დამაარსებლის, ქუთაისისთვის დედაქალაქის სტატუსის დამბრუნებელის!..**

**არ დაიშუროს ოქრო-ვერცხლი გარეშე თუ შინაური მტრების, მათ შორის ხარბ ღვთისმსახურთა მოსაქრთამავად; უსახსოვროს მათ „ჯიპ“-ის ჯიშის შავი ბედაურები, ხოლო ურჩი ღვთისმსახურნი ჩაყაროს დილეგში; შელეწოს მათი სალოცავი ტაძრები და ყბა-სახე დაუნგრიოს მათ უმეცარ მრევლს;**

**გაამრავლოს მსტოვართა სამსახური, მათი დახმარებით უსმინოს(!) და ფარულად გადაუღოს ყველას, გაავრცელოს მოარული ხმები;**

**ააშენოს ახალი ციხეები არაკეთილმოსურნეთა ასალაგმავად, არ მოერიდოს მათ წამებას და ცოცხებზე დასმას ისე, როგორც მე ვსვამდი სარზე მათ, სამშობლოს ღალატისთვის;**

**საჯარო სიტყვით ექიშპოს ძლიერ მეზობლებს, რეალურად კი მათ ფარულად გადასცეს ყველა ხეობა, ბილიკი, მდინარის შესართავი და მათზე მოწყობილი წისქვილები“.**

ამ შემთხვევაშიც, დიდი მეფის გათვლა აღმოჩნდა სწორი, მისი მემკვიდრე – 21-ე საუკუნის საქართველოს მმართველი კი მართლაც არნახულად ნიჭიერი და შეუპოვარი: გამოაცხადა "ყველანი ციხეშიო" და... უკმაყოფილების გამოხატვისთვის, ურჩობისა და მისი ქცევისა თუ ოჯახის აუგად მოხსენიებისთვის, ზრდასრულ ქვეშერდომთაგან მესამედით საპატიმროები აავსო; „ჩარეცხა“ ბევრი სწავლული თუ ხელოვანი;

არ დაინდო მოზარდებიც, ქუჩებში დახვრეტები და ცემა-ტყეპა ჩვეულებრივი მოვლენა გახადა;

გადაიკიდა დიდი თუ პატარა მეზობელი ქვეყნები, ყოფილი მეგობრები და ნათელ-მირონიც კი, თავიდან ვერ აიცილა სისხლისმღვრელი ომი...

საკუთარ ქვეყანაში უმრავლესობის წყევლის სანაცვლოდ, დახარბდა უცხოელთა მხრიდან ალერს-ფერებას, მეტაფორულ თიკუნებს, ყალბ ტაშს და დაპირებებს, უარყო საქართველოს მოქალაქეობა და, საბოლოოდ, აღმოჩნდა ერთ-ერთი იმ უტვინო და ბედოვლათი ქართველი მმართველებიდან, რომლებმაც დავითისა და თამარის „ნიკოფსიითგან, დარუბანდისა ზღვამდე და ოვსეთიდან სოერად და არგეწამდე“ შექმნილ-დანატოვარი სახელმწიფო „შეგვაჩეჩეს“ აფხაზეთის, კოდორის, სამაჩაბლოს, გარეჯის გარეშე, ვერ აღკვეთეს შინაური თუ გარეშე მტრების მხრიდან ძირძველი ქართული მიწების მიტაცება, განიავება, გაყიდვა და გაჩუქება...

**ჭკუა ვერ ვისწავლეთ ყველამ. რომ გვესწავლა, მაშინ ახლა არ გვექნებოდა ისეთი ვითარება, როცა ესენი, თვითმარქვია და უტიფარი „შამქმნელნი“, „აღმაშენებლები“, „პატრიოტები“, „ქვეყნის გადამრჩენები“, სინამდვილეში კი თოფიანი თუ უთოფო ყაჩაღები, ხარბები, გამომძალველები, მწამებლები, მექრთამეები, გამყიდველები, დეპუტატის, მერის, გამგებლის, მინისტრის, პრემიერის სავარძლის დაუფლების დაუოკებელი სურვილით აღტყინებული მამალი და გენეტიკური კარიერისტები, ამაზრზენი ბრალდებების და სიბინძურის მფრქვეველი ურცხვი დემაგოგები და ცრუპენტელები, ეროვნული სიწმინდეებით მოვაჭრენი, კვლავ ჟიჟურ აპირებენ ხელისუფლებაში დაბრუნებას „ლილიპუტა“, გუგავას, უმწიფარ, ქამარში რევოლველგარჭობილი ოთოია კახიძის, ტელეეკრანზე გასილაქებული კანდელაკის, ბანალურად ყბედი მაჭუტაძის მსგავს სხვა „კლოუნებთან“ ერთად. აუუუ, კუკური, სად ხარ, მიდი, დასცხე გამოსაფხიზლებელი ტაში!**



**P. S.: რაც შეეხება მეორე გრაგნილს, ანდერძთან ერთად რომ იყო ჩამარხული დიდი მეფის განსასვენებელში, მის შინაარსს სხვა დროს გაგაცნობთ.**

**ნუგზარ ფოფხაძე**



# სახელმწიფო გავაუქმოთ, რადგან მათი მზე – დავით აღმაშენებელი შიმშილობს?



# ტვინდემიური მი-ში-ზმი

**„ნაციონალები მოითხოვენ, ციხიდან გამოუშვან სააკაშვილი – მათი მზე – დავით აღმაშენებელი, რომელიც შიმშილობს. პეტრე, მელქისედეკი და ცალკეული მიტროპოლიტები ხომ მიემხრნენ მიშას, არაჩვეულებრივი სახელები კი დაირქვეს ამ მიტროპოლიტებმა, მაგრამ ესენი არიან მიშიზმისა და ქრისტიანობის შემტყუპებლები, გამყრელიძემ (უცნობმა) რომ თქვა, ტვინდემიაო. ეს არის ტვინდემიური მიშიზმი“, – აცხადებს ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე.**

**– ნაცების ერთი ნაწილისთვის მიხეილ სააკაშვილი დავით აღმაშენებელია, მეორე ნაწილისთვის – დიმიტრი ყიფიანი, არიან ისეთი ნაცებიც, რომლებიც სააკაშვილის გამოსახულებიანი მაისურით დადიან, რევოლუციონერ ჩე გევარას ანალოგიით. რას ნიშნავს სააკაშვილის შედარება ქართველ წმინდანებთან და რა ნიშნით შეიძლება მივამსგავსოთ ის დავით აღმაშენებელს, ან დიმიტრი ყიფიანს, რომელიც მოწამეობრივად აღესრულა?**

– „ნაციონალური მოძრაობა“ რომ არ არის სრულ ჭკუაზე თავის მეთაურიდან დაწყებული რიგით წევრამდე დამთავრებული, ეს ახალი ამბავი არ არის. იმ ადამიანების ადეკვატურობის ხარისხი, რომლებიც მიხეილ სააკაშვილში დავით აღმაშენებელს ხედავენ, დაბალია. პრობლემა ის არის, რომ ისინი არაადეკვატურობასთან ერთად აგრესიულებიც არიან. თუ ხელისუფლებაში მოვიდა ასეთი ტიპის ხალხი, შედეგი მარტივად პროგნოზირებადია. დავით აღმაშენებელი არა მარტო წმინდანად შერაცხა საქართველოს ეკლესიამ, არამედ ის იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მთავარსარდალი ისტორიაში, რომელსაც არც ერთი ბრძოლა არ წაუგია, მოიგო ისეთი ეპიკური ბრძოლა, როგორიცაა დიდგორი. დიდგორის ბრძოლის წინ მას ისტორიკოსები ახასიათებდნენ შემდეგი სიტყვებით, „ხოლო დავითმან, უშიშმან, ვითარცა უხორცომ და ყოვლად უძრავმა გულითა“. დაუვიწყარია, როგორ განაწყო მან ჯარი ბრძოლის წინ. დავითმა ყველანი მოიზიდა თავის ქვეყანაში და ისე შექმნა სახელმწიფო.

**– დავით აღმაშენებელი ყველაფერს ქრისტეს სახელით აკეთებდა, დიდგორის ბრძოლა ახსენეთ და ამ ბრძოლის წინ ქრისტიანულად გაამხნევა ლაშქარი, უკან დასახევი გზა მოუჭრა, რაც სააკაშვილმა გააკეთა, რამდენად ჯდება იმაში, რასაც ქრისტიანული გზა ჰქვია?**

– მისი შედარება დავით აღმაშენებელთან სასაცილოა. დავითი იყო მეფე, უდიდესი მთავარსარდალი, მეომარი, სახელმწიფოს აღმშენებელი, თითქმის დანგრეული სახელმწიფო ჩაიბარა. მისი ისტორიკოსი იხსენებს, ნაჭარმაგევის სასახლიდან გამოსვლას როცა აპირებდნენ, გარეთ მზვერავებს აგზავნიდნენ, რომ მტრები არ გადაჰყროდნენ. ასეთი საქართველო ჩაიბარა და დატოვა იმპერია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგაწამდე. სააკაშვილი როგორი მთავარსარდალიც იყო, ყველამ ვიხილეთ, როგორი „უშიში, ვითარცა უხორცო“ იყო, ესეც ვიხილეთ. მან დატოვა დაპატარავებული საქართველო, გადაცემული რუსეთზე, საერთოდ, სტრატეგიული ობიექტების ცნება გააუქმა და იმ რუსეთს გადასცა სტრატეგიული ობიექტები, რომელსაც ვითომ ებრძოდა. სხვათა შორის, დავით აღმაშენებელთან დაკავშირებული ისტორიული რემინისცენციებით არ შეჩერებულან ნაცები, დემეტრე თავდადებულსაც შეადარეს სააკაშვილი, დამფუძნებელია საქართველოს სახელმწიფოსიო და შემდეგ ფარნავაზს შეადარეს, შემდეგ მეფე მირიანს, დიმიტრი ყიფიანს. ეს ხალხი საერთოდ გასაკოჭია. ბედავენ და ცდილობენ, წმინდანებს დაუკავშირონ ის, ვინც წმინდანთა ანტიპოდია. აქ საქმე გვაქვს მასშტაბურ შიზოფრენიასთან, რაც ახასიათებთ ტოტალიტარულ სექტებს. ასეთი სექტების უამრავი მაგალითია, მათ შორის, „ამომავალი მზის სექტა“, სხვა სექტები, რომლებმაც თვითმკვლელობით დაამთავრეს. ტოტალიტარული სექტებისთვის აუცილებელია, ჰყავდეთ ცოცხალი ღვთაება, ასეთად გაიხადეს სააკაშვილი. აქ მარტო სააკაშვილზე არაა საუბარი, არამედ ხალხის განწყობაზე, რომლებსაც არქაული დარღვევა აქვთ ფსიქიკაში და მუდმივად საჭიროებენ კერპის შექმნას. ეს ჩვენი ქვეყნისთვის ყოველთვის პრობლემა იყო და ახლა საერთოდ პიკს მიაღწია. 500, თუ 600 ათასი ამომრჩეველი ჰყავთ, მათი ნაწილი აგრესიულია, რომელიც ღია მიშიზმშია გადავარდნილი, მეორე ნაწილია კრიპტომიშისტები, რომლებიც ფარულად არიან შემძვრალნი სახელმწიფო დაწესებულებებში და იქიდან ეთაყვანებიან მიშას, ფარულად აძლევენ ნაცებს ხმას, ცდილობენ, ყველას ყველაფერი გაუფუჭონ, ვინც მათ ლიდერთან დაპირისპირებაშია.

**– თქვენ სექტა ახსენეთ, ისტორიულად ქართველი ერი არასდროს ყოფილა სექტანტი, რადგან ყოველთვის შეეძლო ბოროტისა და კეთილის გარჩევა. ფილოსოფიურად რომ შევხედოთ ამ მოვლენას, ბოროტება ვერ იარსებებდა, რომ არ ჰყავდეს მიმდევრები. სააკაშვილის მხარდასაჭერად ამდენი ადამიანი გამოვიდა თავისუფლების მოედანზე. ნუთუ ეს ის ერია, რომელმაც დაწერა „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“? „იქნება, ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა“?! გირგვლიანის დედა მაინც არ ახსოვთ? მხოლოდ სააკაშვილის დროინდელი ფინანსური ინტერესია ამ სექტის მამოძრავებელი?**

– ქართველი ერი როდის და რომელ საუკუნეში როგორი იყო, ამას ვრცელი საუბარი სჭირდება. კეთილიც ბევრია ქართველებში და ბოროტიც, არის ეპოქები, როდესაც ბოროტი აჭარბებს მიზეზთა გამო. გავიხსენოთ გვიანი შუა საუკუნეები და ყველაფერი ნათელი იქნება. მაშინაც არ იყო ნაკლები ბოროტება. ბევრ სხვა ერსაც აქვს არანაკლებ სამარცხვინო ფურცლები. ჩვენც გვჭირს ასეთი რამ, თანაც მძიმე ფორმებით, ერთ-ერთია „იზმები“, კერპთაყვანისმცემლობა, რომელიც იმის მიუხედავად, ვინ არის თაყვანისცემის ობიექტი, ყოველთვის იწვევს ადამიანის გონების დაჩლუნგებას. ფინანსური ინტერესი ახსენეთ, ყველა ნაცი არ იყო ფინანსურად ძლიერი, მაგრამ მაინც თაყვანს სცემდნენ მიშას. ახლაც ბევრია ისეთი, ვისაც ფულიც აქვს, შეძლებაც და მაინც მიშაზე აფანატებს. ბევრი კიდევ ისეთიც ვიცი, ვისაც სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა ყველაფერი წაართვა, ციხეში შეაგდო, გამოვიდა ციხიდან და კვლავ მიშისტად გვევლინება. დარწმუნებული ვარ, რომ მობრუნდეს მიშა, კვლავ დაიჭერენ ასეთებს. დააკვირდით მათ ლექსიკას, გამომეტყველებას, საშუალება რომ მისცენ, ვინც მათნაირად არ ფიქრობს, ყველას დახოცავდნენ, რადგან გადაქცეულნი არიან ბოროტ ზომბებად. ის მიტინგი რომ იყო თავისუფლების მოედანზე, დაითვალეს ტევადობა და უთხრეს, ამდენი მომიტინგე იყოო, ნაცებმა კი დაიწყეს იმის მტკიცება, გინდა თუ არა, 100 ათასი იყოო, ზოგი 60 ათასს ასახელებს.

**– სააკაშვილის შიმშილობა შეიძლება გახდეს იმის საწინდარი, რომ მოშიმშილეებისთვის „კანონი შეცვალონ“?**

– არ ვიცი, რას ჭამს, ისე, თაფლსა და წვენებზეა საუბარი, მართალი გითხრათ, თუ არ ჭამს, ნუ ჭამს. რას გვთავაზობენ შიმშილობის სანაცვლოდ? ადამიანმა ფარულად გადმოლახა საზღვარი, არის მსჯავრდებული და ესენი ითხოვენ, სასწრაფოდ გამოუშვან, რადგან შიმშილობს. ასე ყველას შეუძლია, მოკლას კაცი, იშიმშილოს და გამოუშვან შიმშილის გამო. ეს ნიშნავს, სახელმწიფო გავაუქმოთ, რადგან სააკაშვილი - მათი მზე, დავით აღმაშენებელი, ფარნავაზი შიმშილობს. ახლა მეფე მირიანიც გახდა, ახალ ქრისტიანობას გვთავაზობს. პეტრე, მელქისედეკი და ცალკეული მიტროპოლიტები ხომ მიემხრნენ მიშას, არაჩვეულებრივი სახელები კი დაირქვეს ამ მიტროპოლიტებმა, მაგრამ ესენი არიან მიშიზმისა და ქრისტიანობის შემტყუპებლები, დამტყუპებლები, გამყრელიძემ რომ თქვა, ტვინდემია. ეს არის ტვინდემიური მიშიზმი, ახლებური ქრისტიანობის დამამკვიდრებელი.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**



# კოალიცია თვითმმართველ ორგანოში:
# სარგებელი და რისკი

**და აი, მოახლოვდა თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური, რომლის შედეგებმა უნდა განსაზღვროს, მათ შორის, ისიც, მართვის რა სისტემას აირჩევს ხალხი ხუთ თვითმმართველ ქალაქში და შემდეგ დაჰყვებიან თუ არა მოქალაქეების მიერ გამოხატულ ნებას პოლიტიკოსები.**

**თბილისის მერობის ოპოზიციონერმა კანდიდატმა უკვე წარადგინა დედაქალაქის ალტერნატიული, ექსპარტიული „ჩრდილოვანი“ მთავრობა. ანალოგიური მექანიზმის გამოყენებას აანონსებენ დანარჩენ მუნიციპალიტეტში სხვა ოპოზიციური კანდიდატებიც. აი, მმართველი გუნდი კი კოალიციურ ფორმატში თანამშრომლობის არანაირ მიმღებლობას არ ამჟღავნებს, მიუხედავად იმისა, რომ რიგ მუნიციპალიტეტებში ამგვარი თანამშრომლობის აუცილებლობა უკვე ნათლადაა გამოკვეთილი.**

**მეტიც, „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებას „შეახსენა“, რომ 2 ოქტომბრის არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, თბილისის საკრებულოში, მაგალითად, სახელისუფლებო გუნდი უმრავლესობითაა წარმოდგენილი და შესაბამისად, ნიკა მელიას საკადრო ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას არ მისცემს. პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კი უფრო შორს წავიდა თავისი სკანდალური განცხადებით, „ნებისმიერ მუნიციპალიტეტში სხვა კანდიდატი რომც გავიდეს, ცენტრალური მთავრობის გარეშე პერსპექტივა არ აქვსო“.**

**„წარმოუდგენელი განცხადებაა ნორმალური ქვეყნისთვის!“, – ამბობს ღარიბაშვილის გზავნილის „აქცენტთან“ კომენტირებისას ექსპერტი თვითმმართველობის საკითხებში ირაკლი მელაშვილი.**

მისი განმარტებით, თვითმმართველობა ხელისუფლების დამოუკიდებელი ორგანოა, კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანა სუბსიდიარობის პრინციპზეა მოწყობილი და შესაბამისად, მიიღებს თუ არა მუნიციპალიტეტი პროექტების განსახორციელებელ ფინანსურ სახსრებს – ეს ფორმალურად, არც ერთ შემთხვევაში არაა დამოკიდებული პრემიერ-მინისტრზე.

**„ამ თანხების განაწილება ხდება გარკვეული ფორმულების მიხედვით, რომელიც ფინანსთა სამინისტროს აქვს შემუშავებული. მეეჭვება, ამაში ჩარევა ვინმემ გაბედოს, რადგან ეს ქვეყანაში ძალიან დიდ სკანდალს გამოიწვევს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დეცენტრალიზაცია არ მომხდარა, მუნიციპალიტეტებმა თანხები ხსენებული ფორმულის მიხედვით აუცილებლად უნდა მიიღონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კანონის, კონსტიტუციის დარღვევა იქნება და სასამართლო დავის საგნად იქცევა“,** – ამბობს მელაშვილი.

იგი ხელისუფლებას საკრებულოს ერთ დიდ უფლებას შეახსენებს: თუ მთავრობის რომელიმე ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის იმ თავს, რომლითაც თვითმმართველობის უფლებებია გარანტირებული, მას შეუძლია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს:

იხ. 6 გვ.

# მეცნიერები უძველეს საზღვაო ქალაქს ეხმარებიან

**საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი კვესიტაძეს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.**

ქართველი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი ბატონ გიორგი კვესიტაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. ის გახლავთ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი, უამრავი მონოგრაფიის, სამეცნიერო სტატიების და გამოგონებათა ავტორი, საერთაშორისო გრანტების მფლობელი, ეკოლოგიურ და ბიოლოგიურ მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის არაერთხელ იქნა დაჯილდოებული საერთაშორისო მასშტაბით.

ამ დღეებში ბატონ გიორგი კვესიტაძეს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. აღსანიშნავია ბატონ გიორგისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თანამშრომლობა ფოთის მერიასთან. 2019 წლის მაისში ხელი მოეწერა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიისა და ფოთის მერიის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. ფოთი, როგორც ევროპისა და აზიის უმნიშვნელოვანესი გზაგამტარი, თავისი სტრატეგიული მდებარეობისა და მნიშვნელობის გამო ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ისტორიული ფუნქციის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჩართულობა, აკადემიის სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება ქალაქში განსახორციელებელი დიდი პროექტების მეცნიერულ დონეზე ექსპერტიზისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის. ფოთის მომავალი საზღვაო დარგების, ნავსადგურის, გემთმშენებლობის, თევზრეწვის, და ა.შ., ამ სფეროში მეცნიერებათა მიღწევების დანერგვას და ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო კერების შექმნას უკავშირდება.

როგორც ბატონმა გიორგი კვესიტაძემ აღნიშნა, აკადემიის სამეცნიერო პოტენციალი გამოყენებული იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო კერების გაფართოებისთვის, განსაკუთრებით საზღვაო სფეროში.

ვულოცავთ დიდ მეცნიერს ფოთის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს ქართული მეცნიერების შემდგომი წინსვლა-განვითარების საქმეში.

**ზურაბ აბრალავა,**
**გაზეთ „ს. რ.“ საკ. კორ.**
**ფოთი, (ტელ: 568 41 71 58)**



# თბილისს კიდევ 13 საპატიო მოქალაქე შეემატა

**დედაქალაქის საკრებულოში 2021 წლის საპატიო თბილისელების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ღონისძიება Covid-19-ის რეგულაციების გათვალისწინებით, სტუმრების შეზღუდული რაოდენობით ჩატარდა და ფართო საზოგადოებისთვის ტელევიზიის პირდაპირი ეთერით და სოციალური ქსელის ვიდეოჩართვით გადაიცა. დაჯილდოების წინ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ შეკრებილ საზოგადოებას სამადლობელი სიტყვით მიმართა.**




### თბილისის საპატიო მოქალაქეთა ჩამონათვალი ასეთია:

**რისმაგ გორდეზიანი — თანამედროვეობის დიდი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, აკადემიკოსი, მრავალი თაობის აღმზრდელი.** ის სხვადასხვა დროს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პრორექტორი, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დამფუძნებელი. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი, მათგან 30 წიგნი, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ; რისმაგ გორდეზიანი სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენებით; არის საბერძნეთის, ბრიტანეთის, გერმანიის პრესტიჟული აკადემიური ორგანიზაციების საპატიო წევრი.

**აკაკი ნადარეიშვილი — ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;** აკაკი ნადარეიშვილი სხვადასხვა დროს იყო კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ულტრაბგერითი განყოფილების ხელმძღვანელი; გამოქვეყნებული აქვს 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი; არის პრესტიჟული ევროპული სამედიცინო ასოციაციების წევრი და დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

**ირაკლი ფავლენიშვილი — ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.** სხვადასხვა დროს ირაკლი ფავლენიშვილი იყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პედიატრიის კათედრის გამგე, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე და საბჭოს წევრი, სამედიცინო აკადემიის პრორექტორი, საქართველოს პედიატრ-ქიმიოთერაპევტთა საზოგადოების პრეზიდენტი და თბილისის საკრებულოს წევრი; მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი; არის 52 აკრედიტებული სამედიცინო პროგრამის ავტორი და განმახორციელებელი, ასევე, 15 პატენტის ავტორი. მოპოვებული აქვს სახელმწიფო პრემია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ოქროს მედალი, სოდერბერგის ფონდის პრემია, ჰოსპიტალური ინფექციის საერთაშორისო საზოგადოების მედალი.

**რამაზ ყურაშვილი — ექიმი-ენდოკრინოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.** ის დიაბეტის ეროვნული ცენტრის, ენდოკრინული და გულფილტვის დაავადებების ცენტრის, საქართველოს დიაბეტის და ენდოკრინული ასოციაციის დამფუძნებელია; სხვადასხვა დროს კვლევითი მიზნით მუშაობდა უცხოეთის პრესტიჟულ სამედიცინო დაწესებულებებში; გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი; დაჯილდოებულია საქართველოს საპატიო ორდენით, იტალიის ექიმთა ასოციაციის საპატიო სიგელით, საუკუნის ექიმის წოდებით და მედია ვარსკვლავით მედიცინაში შეტანილი წვლილისთვის.

**დავით კვაჭაძე — ფოტოგრაფი და ამავდროულად მოკრივე.** ბატონი დავითი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია კრივში. მას გამართული აქვს 20-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო პერსონალური გამოფენა, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით საქართველოში და საპატიო მოქალაქის წოდებით — ნიუ-ორლეანში.

**ლილი კინწურაშვილი — ქალაქის დასუფთავების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი**. მას 18 სექტემბერს დასუფთავების სამსახურში მუშაობისა და ქალაქის მსახურების 49 წელი შეუსრულდა.

**ელგუჯა ბურდული — ცნობილი მსახიობი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი**. ის დაჯილდოებულია პრესტიჟული პრემიებით მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის.

**პაატა კერვალიშვილი — ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში აღიარებული მეცნიერი ატომური ენერგიის მიმართულებით.** პაატა კერვალიშვილი 500-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 35 გამოგონებისა და პატენტის ავტორია. ხელმძღვანელობდა 40-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციას, 50-ზე მეტ კონფერენციაზე კი მომხსენებლის სტატუსით იყო მიწვეული. ბატონი პაატა ნატოს სამეცნიერო საბჭოს ყოფილი წევრია, სენსორული სისტემების სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრის დაფუძნების ინიციატორი და საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

**ინგა ჯიბუტი — ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ტერმინოლოგი.** ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, საქართველოს ტერმინოლოგთა ასოციაციის თანადამფუძნებელი, ტერმინოლოგიური ლექსიკონის, 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და წიგნის ავტორი ტექნიკური ტერმინოლოგიის მიმართულებით.

**ბადრი ქუთათელაძე — მწერალი, პოეტი და მკვლევარი, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი.** ბადრი ქუთათელაძე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია, ღირსების ორდენის კავალერი, „ქართული კულტურის ამაგდარისა“ და „კულტურის რაინდის“ წოდების მფლობელი. დაჯილდოებულია რომის პაპის მედლით ქართველი მეცნიერის მიხეილ თამარაშვილის სახელის უკვდავყოფისთვის. თბილისის ისტორიას და კულტურას ბადრი ქუთათელაძემ ოთხი ფუნდამენტური კვლევა მიუძღვნა.

**გრიგოლ ჩიგოგიძე — თეატრმცოდნე და ჟურნალისტი.** სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში რეჟისორად, ოპერატორად, ჟურნალისტად. ის არის ახალგაზრდა კინომოყვარულთა საერთაშორისო ფესტივალის „თბილისური აისი“-ს დამფუძნებელი და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის“ ლაურეატი. 1975 წლიდან არის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის კინოსტუდია „პიონერფილმის“ ხელმძღვანელი. დაჯილდოებულია ღირსების მედლითა და ორდენით.

**დავით მუსხელიშვილი — ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, 180-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი**. ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისიის თავმჯდომარეა; სხვადასხვა დროს მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად.

**გივი ღამბაშიძე — პროფესიით ზეინკალი,** რომელიც სხვადასხვა დროს თბილისის მეტროპოლიტენში ზეინკლად და სამეურნეო საამქროს თანამშრომლად მუშაობდა. გივი ღამბაშიძის თაოსნობით მოხდა საწარმოო ტერიტორიის განაშენიანება, გაიმართა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და წლების განმავლობაში ის შეუცვლელ როლს ასრულებდა თბილისის მეტროპოლიტენის გამართულად მუშაობისთვის.

* * *

**საპატიო თბილისელის წოდება ენიჭებათ საქართველოს მოქალაქეებს თბილისის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისა და მაღალი პროფესიული ოსტატობისთვის, უცხო სახელმწიფო მოქალაქეებს — განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოსა და თბილისის წინაშე.**




# 350 მლნ-ია გადახდილი უსარგებლო შენობაში!

## ღარიბაშვილი ქუთაისის პარლამენტზე

**ქუთაისელებისთვის კი არ გააკეთა თავის დროზე სააკაშვილმა პარლამენტის გადმოტანა, არამედ იმის გამო, რომ აქციები, მისი მოკლე ჭკუით, აღარ ყოფილიყო თბილისში,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს ქუთაისში განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, 350 მლნ. გადაიხადეს აბსოლუტურად უსარგებლო შენობაში.

**„რაც შეეხება ქუთაისიდან პარლამენტის გადატანას. გასაგებია, ამის თაობაზე იყო არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოსახლეობის, მე მესმის, თუმცა ასევე შეგახსენებთ იმასაც, რომ, როდესაც ქუთაისის პარლამენტის შენობის მშენებლობა გადაწყდა, მაშინ, სააკაშვილის ხუშტურებს და მის გადაწყვეტილებას დედაშვილი შეეწირა, თუ არ ვცდები, თქვენ გახსოვთ, ალბათ. ეს უნდა გავიხსენოთ, პირველ რიგში.**

**უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ 350 მლნ. გადაიხადეს აბსოლუტურად უსარგებლო შენობაში, როდესაც თბილისში ისტორიულად იდგა, დგას და იქნება საქართველოს პარლამენტის შენობა და უამრავი სხვა რამ.**

**მთავარი ჩვენთვის არის ის, რომ არჩევნების შემდეგ, მომდევნო 3 წელი, მთავარი კონცენტრირება მოვახდინოთ საქმეზე, ხალხის პრობლემების გადაჭრაზე, სიღარიბის დაძლევაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე, განვითარებასა და პროგრესზე. ეს იქნება ჩვენი მთავარი სალაპარაკო. არჩევნების შემდეგ, გთხოვთ, რომ აღარ მკითხოთ პატიმარ სააკაშვილზე,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ცნობისთვის, ქუთაისის პარლამენტის შენობას, ის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. 300-მილიონიანი შენობა კვლავ უფუნქციოდაა. არადა, პრემიერმა გახარიამ ჯერ კიდევ თებერვალში დააანონსა, რომ ქუთაისში მდებარე პარლამენტის ყოფილი შენობა გაიყიდებოდა, რითაც ის ეკონომიკურ დატვირთვას შეიძენდა, ხოლო ქუთაისი სულ მალე გახდებოდა უზარმაზარი საგანმანათლებლო ცენტრი, რითაც ეს ქალაქი თავის ისტორიულ ფუნქციას, საგანმანათლებლო ფუნქციას დაიბრუნებდა.



# ქუთაისში ელექტრომობილების წარმოებაზე ინვესტორთან მოლაპარაკება განახლდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქუთაისში ელექტროავტომობილების წარმოებისთვის საჭირო ქარხნის დიდი ნაწილი უკვე ჩამოტანილია.**

როგორც ღარიბაშვილმა ქუთაისში, საარჩევნო შტაბთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, პროექტის განსახორციელებლად ყველაფერს გააკეთებს.

**„კიდევ ერთი მთავარი რამ მინდა ვთქვა ქუთაისელებისთვის, დაახლოებით, 2 წლის წინ იყო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ელექტროავტომობილების წარმოებას. გვყავდა ძალიან სერიოზული ინვესტორი, შემდეგ პანდემიამ შეაფერხა ეს პროცესი და საბოლოოდ, ამ პროექტის განხორციელებამ გადაიწია. ახლა მე მინდა ქუთაისელებს ვაცნობო, რომ ჩემი დავალებით, ჩვენ უკვე განვაახლეთ და დავიწყეთ მოლაპარაკებები ინვესტორ კომპანიასთან. ქარხნის დიდი ნაწილი ჩამოტანილია უკვე ადგილზე და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს პროექტი ბოლომდე მივიყვანო იმისთვის, რომ ქუთაისს დავუბრუნოთ ისტორიული მისია. აქ ჩვენ ძალიან მალე დავიწყებთ ავტომობილების გამოშვებასაც, ამისთვის მე პირადად ყველაფერს გავაკეთებ. მე როგორც პრემიერ-მინისტრი, აქტიურად ვიმუშავებ თითოეულ მერთან, მექნება მათთან მჭიდრო ურთიერთობა, გვექნება ძალიან კარგი კოორდინაცია იმისთვის, რომ ეს ამბიციური პროექტები განვახორციელოთ“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ცნობისთვის, ქუთაისში ინდუსტრიული კომპლექსის მშენებლობას AIGROUP ახორციელებდა. კომპლექსი100 ჰექტარ ფართობზე განთავსდა. პირველი პროექტი ელექტრომობილების საწარმოა, სადაც, საწყის ეტაპზე, დაახლოებით 300 ადგილობრივის დასაქმება იგეგმებოდა, ხოლო საწარმოს წარმადობა 5 000 ელექტრომობილზე იყო დაგეგმილი. პროექტი ხორციელდებოდა მსხვილი ჩინური კორპორაციის „ჩანგანის“ პარტნიორობით. გეგმის მიხედვით, 2020 წლის დასაწყისისთვის მსოფლიოს პირველი ქართული ელექტრომობილი უნდა ეხილა. აქამდე არსებული პროექტით, სრული დატვირთვის პირობებში, ყოველწლიურად, 40 ათასი ელექტრომობილის გამოშვების პოტენციალი აქვს. ეს კი 3 ათასზე მეტი ადამიანის დასაქმების შესაძლებლობაა მთელი ქვეყნის მასშტაბით.პროექტის დასაწყისში საწარმოში 4 მოდელის ავტომობილს აწარმოებენ. ქართული ელექტრომობილი გათვლილია როგორც ადგილობრივ, ისე ევროპისა და აზიის ბაზარებისთვის.

# კოალიცია თვითმმართველ ორგანოში: სარგებელი და რისკი

(მეოთხე გვერდიდან)

**„ერთ-ერთი ასეთი უფლებაა სუბსიდიარობის პრინციპი. თუკი ამ პრინციპს მთავრობის გადაწყვეტილებები დაარღვევს (მაგალითად, არ მისცემს კუთვნილ ფინანსებს და ასე „დასჯის“), ეს სასამართლო დავის საგანი გახდება და ჩვენს სასამართლოშიც კი შეუძლებელი იქნება მთავრობის მიერ ამ დავის მოგება, რადგან არსებობს ძალიან მყარი სამართლებრივი საფუძვლები“.**

ამასთან, მელაშვილი მთავრობას 1998 წლის იმ მოვლენებსაც შეახსენებს, რომელსაც მაშინ სოციალური აფეთქება მოჰყვა:

**„ვინც ამას აკეთებდა, საკუთარ თავს საბოტაჟს უწყობდა. 1998 წელს, როდესაც საქართველოში თვითმმართველობის პირველი არჩევნები ჩატარდა, ფინანსთა სამინისტრომ მოინდომა, მსგავსი ხერხისთვის მიემართა: მხოლოდ საკუთარი გუნდის წევრებს გამოუყვეს ფინანსები და ამას ქვეყანაში სოციალური აფეთქება მოჰყვა“.**

## რა ხდება მერის არჩევნებში ოპოზიციონერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში?!

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ამა თუ იმ ქალაქის მერმა საკრებულოს დასამტკიცებლად მერიის სტრუქტურა უნდა წარუდგინოს. შემდეგ იგი წარადგენს ვიცე-მერებსა და მოადგილეებს. იმ შემთხვევაში, თუ მათ საკრებულო არ დაამტკიცებს, მერი 10 დღეში იგივე პროცედურას იმეორებს. თუ საკრებულო კვლავ არ დაამტკიცებს წარდგენილ კანდიდატებს, მერი მოვალეობის დროებით შემსრულებლებს სამი თვის ვადით ნიშნავს, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კი კვლავ მიმართავს ხსენებულ პროცედურას და თუ ისევ ვერ შეძლო საკრებულოს წევრთა დარწმუნება, მხარი დაუჭირონ მის მიერ წარდგენილ კანდიდატებს, მერს შესაძლებლობა აქვს, კანდიდატები შეცვალოს, ან პოზიციები გადაუნაცვლოს.

აღწერილი მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია საარჩევნო ვადის ამოწურვამდე. თუმცა ამ ვითარებაში ცენტრალური საკითხი ქალაქის ბიუჯეტია: თუ საკრებულომ მერის მიერ წარდგენილი საბიუჯეტო პროექტი სამი თვის განმავლობაში არ დაამტკიცა, საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს უფლება აქვთ, მიმართონ პრეზიდენტს. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი უფლებამოსილია, შემოიღოს პირდაპირი მმართველობა, დაითხოვოს საკრებულო, მერი და დანიშნოს არჩევნები კონკრეტულ მუნიციპალიტეტში.

**„არ ვფიქრობ, რომ ეს მომგებიანი სცენარია საკრებულოსთვის, მმართველი პარტიისთვის, ან ოპოზიციისთვის“,** — ამბობს თემის კომენტირებისას ექსპერტი.

## კოალიცია თვითმმართველ ორგანოში: სარგებელი და რისკი

როგორც მელაშვილი განმარტავს, ქვეყანას ეძლევა შესაძლებლობა, ამ შემთხვევაში თვითმმართველი ორგანოების დონეზე დაასრულოს მართვის 30-წლიანი მანკიერი პრაქტიკა (როდესაც არჩევნებში გამარჯვებული გუნდი იკავებს ყველა ფუნქციურ პოზიციას, ხოლო ოპოზიციას არ უტოვებს პოლიტიკურ ბერკეტს, გარდა ქუჩისა და შესაბამისად, ვიღებთ რყევების უწყვეტ ციკლს) და გადავიდეს მართვის ევროპულ მოდელზე, რომელშიც სხვადასხვა პარტიები საკრებულოებში საარჩევნო შედეგების მიხედვით ინაწილებენ პასუხისმგებლობას, ფუნქციურ თანამდებობას და ამ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას.

**„2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგები იძლევა შესაძლებლობას, გადავიდეთ ახალ, სწორ, ცივილურ სისტემაზე, როდესაც პარტიები არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით ინაწილებენ პასუხისმგებლობას, ერთმანეთთან შედიან კონკურენციაში და ერთმანეთის განადგურების ეტაპიდან თანამრომლობის ეტაპზე ინაცვლებენ. იგივე საკრებულოში ერთ მიმართულებას ერთი პარტია ხელმძღვანელობს, მეორეს — მეორე, მიდის შეჯიბრი, ვინ უკეთ აკეთებს საქმეს, აკონტროლებენ ერთმანეთს. ჩნდება კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, ბიუჯეტის ხარჯვის, კორუფციის მიმართულებით, ხოლო ამომრჩეველს ეძლევა რეალური შესაძლებლობა, რეალური საქმიანობის მიხედვით შეაფასოს კონკურენციაში მყოფი ესა თუ ის პარტია. ვფიქრობ, სწორედ ესაა მოქალაქისთვის მომგებიანი. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის განაწილება ამცირებს პოლარიზაციის ხარისხს. ამდენად, თუ გვსურს მართვის ცივილურ მოდელზე გადასვლა, უნდა წავიდეთ პასუხისმგებლობის დანაწილების გზით“,** — დარწმუნებულია ექსპერტი.

მელაშვილის ხედვით, ოპოზიციას დღესაც აქვს შესაძლებლობა, შექმნას ახალი პოლიტიკური რეალობა, იგივე ბათუმის, ზუგდიდის, რუსთავის, ქუთაისის საკრებულოებში და აჩვენოს იმის მაგალითი, როგორ შეიძლება ძალაუფლების გადანაწილება:

**„ყველა მუნიციპალიტეტში შეიძლება ამის გაკეთება, მთავარია, რა გზას აირჩევენ პოლიტიკოსები. ვფიქრობ, ხელისუფლებისთვისაც მომგებიანია მართვის ახალი მოდელი, რომელიც, როგორც მთელი ევროპის გამოცდილება გვიჩვენებს, ბევრად ეფექტურია, ვიდრე ის, რაც თავის დროზე, მათ შორის, ძნაციონალურმა მოძრაობამძ შემოგვთავაზა: მაშინ მან ოპოზიციას სხვა გზა არ დაუტოვა, ქუჩის გარდა და მართალია, შვიდი წლის შემდეგ, მაგრამ ოპოზიციამ მაინც მოიგო. დღესაც იგივე ვითარებაა. გაითვალისწინებს ხელისუფლება თუნდაც ამ მაგალითს? — მაშინ ბევრად უკეთესი შესაძლებლობა არსებობს ქვეყანაში პროცესების წარმართვისა“.**

რაც შეეხება რისკს, ექსპერტი მათ პოლიტიკოსების ურთიერთთანამშრომლობისადმი მზაობის ხარისხში ხედავს:

**„თუ მსგავსი მზაობა არ არსებობს, მაშინ კვლავ პერმანენტული კრიზისები გველოდება“.**

# ჟამი ზარების დარისხებისა

მეგობრული შარჟი, რომელიც მრავალი წლის წინათ მომიძღვნა არქიტექტურის აღიარებულმა რაინდმა, სულგანათლებულმა გივი თოდაძემ, საგანგებოდ შემახსენა ასაკით უმცროსმა კოლეგამ, რესპუბლიკის დამსახურებულმა ჟურნალისტმა სპარტაკ ქობულიამ, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკამდე" 8 წელიწადს რედაქტორობდა „ქუთაისს", გაზეთს, რომელიც სხვა გაზეთებივით მოკლა დიდების მემორიალის" ამფეთქებელთა და უდანაშაულო დედაშვილის მკვლელთა ნაცრეჟიმმა.

შემთხვევითი არ არის „კაკაბეთის ზარების" მსგავსად ქუთაისური რიხვის ზარების შეხსენება ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების მეორე ტურის წინ! უნდა შევეცადოთ, რომ ზარების დარისხებამ გამოაფხიზლოს სეთურებისა და ასინეთების მიერ მონუსხული ჩემი საფიცარი ქუთაისი, რათა უფსკრულში არც ქვეყანა გადაჩეხონ და არც თვითონ გადაიჩეხონ!





## რისხვის ზარები

ვინც „ბიბლია" აგვიფეთქა,
ძვირფას დედა-შვილთან ერთად,
მის რძალს მერად ვინც აირჩევს,
რა სინდისით მივა ღმერთთან?
უცოდველთა სისხლი წვეთავს
და ვერ შეწყვეტს რიცხვი წელთა,
ვერც ამ სისხლს, ვერც რისხვის ზარებს,
სამყაროს რომ აზანზარებს!

## ავტოქარხნელებს!

ეკა და ნინო ვინც მოკლა,
თუ გაიხსენებთ მის ცოცხებს,
მიხვდებით, რითი სჯობია
მუქთ კუბოს თქვენი სიცოცხლე!
მეორე ტური კარზეა
და რაღა უნდა გირჩიოთ?
ცოდვა დუღს, ხალხი ბობოქრობს:
„ნუ მოგვანატრეთ ლინჩიო!"




## ნუ დარჩება უპასუხოდ!

მონუსხულთა ქედმოდრეკამ
შეგვაშფოთ-შეგვაშინა
მათი შვილი რომ მოეკლათ,
ხმას მისცემდნენ მაშინაც?

## სამარცხვინო სიბრალული

ჯალათი, მკვლელი და ჰეროსტრატ
თავის „ღლავებით" რომ ავსებს ბადე
და უმძიმესი ცოდვები ადევს,
ნუთუ ვინმეში სიბრალულს ბადებს?

## სატკივარი

ნამწვანილარ-ნატივარი,
ვითომ „პოლიტპატიმარი",
უკრაინა-საქართველოს
არის მწარე სატკივარი!

## კომფორტული აგარაკი

გიგისავით მიხოს ღიპმაც იკლო რაკი,
ჯოჯოხეთზე აღარ არის ლაპარაკი,
რადგან გახდა მისთვის ციხე აგარაკი,
თან ბევრისთვის იქცა მოდად
მასთან შესვლა სალაყბოდა!
იცით რატომ?
ვერ აჩვენეს შალვას შატო!



## ნუ ვენდობით ნატუტარს!

ნუღარ მივანდობთ ჩვენს ნასათუთარს,
ქვეყნის ცხოვრება ვინც აამტუტა,
ნუღარც ყვარყვარეს და ნუღარც თუნდაც
ნაცრის ქექია ტიტე ნატუტარს!

## „გადამფრენის" გახსენება

ვინც აფთარს შობს სისხლის მწოველს
რწყილზე უფრო არაფრიდან,
შევახსენოთ, ქარაფიდან
ვინ და რატომ გადაფრინდა!

## ქალღმერთ თემიდას ვერდიქტი

უღალატე ერს და ოჯახს,
სხვა სიგლახეც არ გაკლია,
მაგრამ მორჩა, უკვე მორჩა,
საკანში ხარ, სააკიან!
რადგან ბევრის სისხლში ცურავ,
არ გაგილღობს სითბო ყინულს,
ვერც ქართულ ქუდს დაიხურავ,
ვერც სომხურს, ვერც უკრაინულს!

**ალექსანდრე შენგელია**

---

**60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი მამუკა ავთანდილის ძე ვაშაკიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია:**

# სიკეთითა და სისადავით აღვსილი



## მამუკა ვაშაკიძე – 60

ჩვენო მამუკა!

ჩვენო ძვირფასო ძმაო და მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, მწერალსა და ჟურნალისტს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 60 წლისთავს.

გვიხარია, რომ საიუბილეო თარიღს მხნე, ვაჟკაცური ნაბიჯებით მიუახლოვდით ისე, რომ არ შეგრცხვებათ უკან მოხედვისა, არც – როგორც შემოქმედს და არც – როგორც პიროვნებას...

თქვენი სამწერლო დებიუტი 1994 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ტყუილმართალში" გამოაქვეყნეთ პირველი ნოველა „დონ-ჟუანი". მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – მოთხრობები, ნოველები, ჩანახატები, პუბლიცისტური წერილები, მხატვრული ნარკვევები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი მოთხრობებისა და ნოველების კრებული „გაჩუქებული სევდა" მრავალმხრივაა საინტერესო. საკმარისია ამ წიგნის ავტორისეული წინასიტყვაობის წაკითხვა, რომ მიხვდე, თუ რა საოცარი სიყვარულით, სითბოთი, სათნოებითაა სავსე ავტორის გული და რა უშურველად უნაწილებს ამ სიყვარულს თანამოძმეთ. ეს მომცრო კრებული მართლაც რომ მირიადი სევდით და ნაღველითაა სავსე. საოცარი მწერლური ხელოვანებით აღწერთ მეორე მსოფლიო ომის საშინელებებს, იმ ტრაგედიებს, რომლებიც გუშინ თუ გუშინწინ დაატრიალეს XXI საუკუნის ვანდალებმა ჩვენს თვალწინ...

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ და თურქულ ენებზე.

ფართო საზოგადოებრიობა გიცნობთ, როგორც გამოცდილ, ჭეშმარიტ ჟურნალისტს, რომელმაც თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ქართული ჟურნალისტიკის წინსვლასა და განვითარებას შეალია. მუშაობდით ისეთ გაზეთებში, როგორიცაა „რესპუბლიკა", „გაუხმაურებელი ფაქტები", „შანსი"... 1999 წლიდან კი „საქართველოს რესპუბლიკაში" მსახურობთ, ხართ გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი და თქვენი დამსახურებაცაა, რომ ეს ბრწყინვალე გაზეთი ქართული ჟურნალისტიკის ფლაგმანს წარმოადგენს.

თქვენი მრავალწლიანი ღვწა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. დაჯილდოებული ხართ ღირსების მედლით. მონიჭებული გაქვთ რეზო ინანიშვილის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგი მესხის სახელობის პრემიები, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდებები.

ჩვენო მამუკა!

ვინც კი გიცნობთ, ყველა აღფრთოვანებულია თქვენი კეთილშობილებით, სიკეთით და სისადავით.

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

---

# აქ ჩამოსვლის შემდეგ ვგრძნობ, რომ ჯადოსნურ ადგილას მოვხვდი

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სერბეთიდან მაღალრეიტინგული ტელეკომპანიებისა და გამოცემების ჟურნალისტებსა და ბლოგერებს მასპინძლობს.**

პრესტურის ფარგლებში სერბული მედიის წარმომადგენლებმა თბილისი, ალავერდი, შილდა, სიღნაღი, ბოდბე, ქუთაისი, წყალტუბო, მესტია, უშგული მოინახულეს. დაათვალიერეს მარტვილის და ოკაცეს კანიონები, ასევე ეწვივნენ ვანს. სერბი ჟურნალისტები საქართველოს ტურისტული მიმართულების, კულტურის, გასტრონომიისა და ღვინის შესახებ 30 წუთიან რეპორტაჟს მოამზადებენ გადაცემა „პლანეტარიუმისათვის". გადაცემას საშუალოდ 2.2 მილიონი მაყურებელი ჰყავს, ხოლო მეორე გადაცემაში „Vrele Gume"ჟურნალისტები 30 წუთის განმავლობაში მაყურებელს მოუთხრობენ საქართველოში ავტომობილით მოგზაურობის უპირატესობაზე, გადაცემის მაყურებლის საშუალო რაოდენობა 1.4 მილიონს შეადგენს. პრეს-ტურის შემდეგ ოთხი 5-წუთიანი ვიდეორგოლი „Georgia From my Angle" მომზადდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. საქართველოს გასტრო-კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე სამზარეულოს შესახებ სამი სტატია გამოქვეყნდება, ცალკე სტატია მიეძღვნება ქართულ მუზეუმებსა და დაცულ უნიკალურ რელიკვიებს. პარალელურად ტურის მონაწილე სერბი ჟურნალისტები და ბლოგერები სტატიებს, ბლოგებს, ფოტოალბომებსა და ჩანახატებს მოამზადებენ ბალკანეთის მაღალრეიტინგული გამოცემებისა და ვებ-გვერდებისთვის.

**„დღეს ჩვენ ცნობილ ღვინის რეგიონში ვიმყოფებით, დავათვალიერეთ ეკლესიები. საქართველოს ძალიან მდიდარი ისტორია აქვს. ჩვენ ვაპირებთ მთიანი რეგიონების მონახულებას. საქართველოს შეუძლია ძალიან ბევრი რამ შესთავაზოს მოგზაურებს. საქართველოს შესახებ ბევრი რამ ვიცოდი, მაგრამ აქ ჩამოსვლის შემდეგ ვგრძნობ, რომ ჯადოსნურ ადგილას მოვხვდი. ეს არის ძალიან კარგი ტურისტული მიმართულება საოცარი ხალხით. მე ვურჩევ როგორც სერბებს, ასევე ბალკანეთის რეგიონის სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომ საქართველოში იმოგზაურონ",** – აცხადებს ტურის მონაწილე სერბი ჟურნალისტი.



# ფოთში ნიჩბოსნობისა და კანოეს ისტორიული ბაზა აღდგება

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ფოთში მდებარე მალთაყვის ნიჩბოსნობისა და კანოეს ყოფილი ბაზის ტერიტორიას ესტუმრა და იქ არსებული მდგომარეობა კანოეს ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად შეაფასა. მათივე ინფორმაციით, სპორტულ ფედერაციებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა არის ინფრასტრუქტურის სერიოზული დეფიციტი, ზოგიერთ შემთხვევაში კი სპორტული ბაზის პრაქტიკულად არარსებობა. ასეთ ფედერაციებს განეკუთვნება, სხვებს შორის, აკადემიური ნიჩბოსნობა და კანოე, სპორტის ოლიმპიური სახეობები, რომლებიც ნორმალური სავარჯიშო და საშეჯიბრო პროცესის წარმართვას ძნელად ახერხებენ.**



თეა წულუკიანის განცხადებით, სპორტის ამ სახეობებში საქართველოს ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა ჰყავს, რომელსაც ხელშეწყობა ესაჭიროება.

მინისტრის თქმით, ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაციების პრობლემები ორმაგად უსიამოვნოა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სპორტის ამ სახეობებში დიდი ტრადიციები ჰქონდა და ფოთში მდებარე მალთაყვის ბაზაზე მოსამზადებლად და საშეჯიბროდ ქართველ სპორტსმენებთან ერთად არაერთი ქვეყნის სპორტსმენები ჩამოდიოდნენ. თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ მომავალი საბიუჯეტო წლიდან, სამინისტროსა და ფოთის მუნიციპალიტეტის ჩართულობით შემუშავდება კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისადაც, ეტაპობრივად მოხდება მალთაყვის სანიჩბოსნო ბაზის რეაბილიტაცია.

# „საქართველო – ღვინის სამშობლო“

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, პეკინის ინოვაციების ცენტრში გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „საქართველო – ღვინის სამშობლო“, რომელსაც ესწრებოდნენ პეკინში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების, ჩინეთის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და ბიზნეს წრეების წარმომადგენლები, ასევე, წამყვანი მედია საშუალებები,** – ამის შესახებ ინფორმაციას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო ავრცელებს.




ღონისძიებაზე საქართველოს ელჩმა, სიტყვით გამოსვლისას დამსწრე საზოგადოებას გააცნო, ქართული ღვინის უნიკალური კულტურის შესახებ ინფორმაცია და ამ კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა, ქვევრის ღვინის წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას.

ჩინეთის კვებისა და ფერმენტაციის ეროვნული კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტის მრჩეველმა, პროფესორმა ადამ ჰუანგმა ისაუბრა ქართული ღვინის უნიკალურ თვისებებზე და ჩინეთის ბაზარზე ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე.

ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის შესახებ. ასევე, გაიმართა ქართველი მოქანდაკის ალექსანდრე გელაშვილის ნამუშევრების გამოფენა. სტუმრებს 20-მდე ქართული კომპანიის სხვადასხვა სახეობის, მათ შორის ქვევრის ღვინის დაგემოვნების შესაძლებლობა ჰქონდათ.

* * *

**ნიუ-იორკში ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. ქართულ რესტორანში „Chama Mama“ გამართულ ღონისძიებაზე, 10 ადგილობრივი იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი იყო 120 ქართული ღვინო, რომლებიც უკვე წარმატებით იყიდება აშშ-ის ბაზარზე,** – ამის შესახებ ინფორმაციას ღვინის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.



აქვე, პოტენციურ იმპორტიორებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ 118 ღვინის ისეთ ნიმუშს, რომელსაც ამერიკელი მომხმარებელი ჯერ არ იცნობს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Marq Energie Consulting“ ორგანიზებით გამართულ ღონისძიებას ღვინით ვაჭრობის სფეროსა და მედიის 100-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო. ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, დეგუსტაცია ვაშინგტონსა და სან-ფრანცისკოშიც გაიმართა.

ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც, ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად, ექსპორტი ბოლო 7 წელია სტაბილურად მზარდია. მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 807 ათასი ბოთლი ღვინო, ზრდამ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18% შეადგინა.

* * *

**სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ყვარლის მუნიციპალიტეტში ყურძნის გადამმუშავებელი კოოპერაციული საწარმო ამოქმედდა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა „ლამიანი“ საწარმოს შესაქმნელად, ჯამში, 900,000 ლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა, საიდანაც 500,000 ლარი სოფლის განვითარების სააგენტოს გრანტია.**



კოოპერატივი ღვინის რეალიზაციას შვედეთში გეგმავს. საწარმოში, წელს პირველად, 400 ტონამდე ყურძენი გადამუშავდა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ლამიანი“ 21 ადგილობრივ მევენახეს აერთიანებს, კოოპერატივის წევრთა მფლობელობაშია 20 ჰექტარზე მეტი ვენახი. სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი ილია თამარაშვილი და კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლევან ლილუაშვილი კახეთის რეგიონში სახელმწიფო მხარდაჭერით მოქმედ კოოპერაციულ საწარმოში სამუშაო პროცესს გაეცნენ.

პროგრამის „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში, 26 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია ჩართული, მათ შორის, კახეთის რეგიონიდან – 24, იმერეთიდან – 1, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთიდან – 1. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების თანხა 12,4 მლნ ლარს შეადგენს.




## მიგრანტების დაკავებამ რეკორდი მოხსნა

**ბოლო 12 თვის განმავლობაში, ამერიკისა და მექსიკის საზღვარზე 1,7 მილიონზე მეტი არალეგალი მიგრანტი დააკავეს, რაც ყველაზე მაღალი ერთწლიანი მაჩვენებელია. დაკავებულთა შორის მხოლოდ მექსიკელები არ არიან, მათ შორის 160-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქე იყო. აქამდე, ერთი წლის განმავლობაში, მიგრანტების ყველაზე დიდი რაოდენობა 2000 წელს დააკავეს – 21 წლის წინ, ამ მაჩვენებელმა დაახლოებით 1,6 მილიონი შეადგინა.**

მიგრანტების ნაკადის ზრდის პარალელურად, იკლებს პრეზიდენტ ჯო ბაიდენის რეიტინგიც – მოსახლეობის დიდი ნაწილი მას არაეფექტიანი საიმიგრაციო პოლიტიკის გამო აკრიტიკებს.

## კენედის მკვლელობის საქმეზე ახალ მასალებს გაასაჯაროებენ

**თეთრი სახლი მიმდინარე წლის 15 დეკემბერს ჯონ კენედის მკვლელობის საქმეზე ახალ მასალებს გაასაჯაროებს. თეთრი სახლის განცხადებით, 1992 წელს კონგრესმა საჭიროდ ჩათვალა, გაესაჯაროებინა ამ საქმეზე ყველა მასალა, თუ ეს ზიანს არ მიაყენებდა დაზვერვის, სამართალდამცავ ან საგარეო პოლიტიკურ ორგანოებს, ამჟამად კი შესაბამისი პროფილური უწყებები ამ მიმართულებით მუშაობენ და დოკუმენტაციას სწავლობენ.**

ჯო ბაიდენმა საქმის მასალების გასაჯაროების წესი დაამტკიცა. ღია წვდომაში შეიქმნება ციფრული ბაზა, სადაც ყველა გასაჯაროებული დოკუმენტი განთავსდება.

## ქარიშხალი მოსკოვში და შტორმი პეტერბურგში

**22 ოქტომბერს რუსეთის დედაქალაქს ძლიერი ქარიშხალი დაატყდა თავს. სტიქიამ 50-მდე ხე მოგლიჯა, დაზიანებულია ავტომანქანები. ქუჩებში ნაგვის ურნები სახლების კედლებს და ავტომობილებს ეჯახებოდნენ. ვერ გაუძლო რუსეთის სიამაყემ, კრემლის კედელმა – ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოში ჩანს თუ როგორ ჩამოანგრია ქარმა მისი ერთ-ერთი ქონგური.**

ძლიერი შტორმი იყო პეტერბურგში, რამაც სანაპირო ნაწილში წყალდიდობა გამოიწვია. ძლიერმა ქარმა 35 ხე და რამდენიმე მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა მოგლიჯა, დაზიანებულია ავტომობილები.

## თალიბებმა ფრენბურთელ ქალს თავი მოჰკვეთეს



**ქაბულში თალიბებმა ავღანელ ახალგაზრდა ფრენბურთელ ქალს, მაჰჯაბინ ჰაკიმს თავი მოჰკვეთეს.**

ჰაკიმის ერთ-ერთმა მწვრთნელმა, რომლის ვინაობაც მისი უსაფრთხოების მიზნით არ საჯაროვდება, მედიას ინტერვიუ მისცა, რომელშიც განაცხადა, რომ სპორტსმენი ოქტომბრის დასაწყისში მოკლეს, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა, რადგან მის ოჯახს ემუქრებოდნენ და ყველაფრის გასაიდუმლოებას მოითხოვდნენ.

**„ფრენბურთის ნაკრების ყველა მოთამაშე და დანარჩენი სპორტსმენი ქალები ცუდ მდგომარეობაში, სასოწარკვეთილებაში და შიშში არიან“,** – განაცხადა მწვრთნელმა.

## დააკავეს „მეორე ესკობარი“

**კოლუმბიაში ქვეყნის უდიდესი კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი, ნარკორეალიზატორი დაირო ანტონიო უსუგა დააკავეს. მის დასაკავებლად საჭირო ინფორმაციისთვის, ადგილობრივ მთავრობას ჯილდოდ 4800 ათასი, ხოლო აშშ-ს 45 მილიონი ჰქონდა დაწესებული. კოლუმბიის პრეზიდენტის განცხადებით, ეს მოვლენა არაფრით ჩამორჩება 1990-იან წლებში პაბლო ესკობარის განეიტრალებას.**



სპეცოპერაციის დეტალები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, არსებული ინფორმაციით, მას ერთი სამართალდამცველის სიცოცხლე ემსხვერპლა.

# ამათრახებდნენ ცოცხალ ბელადს...



ცნობილ ქართველ ენათმეცნიერს ალექსი ჭინჭარაულს სისტემატურად იწვევდნენ ხოლმე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე (ქართულ ენასა და ლიტერატურაში) საგამოცდო კომისიის წევრად.

არსებობს გადმოცემა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ენაკვიმატ ენათმეცნიერს საგანგებოდ გაუფრთხილებია აბიტურიენტებთან საომრად გამზადებული თავისი კოლეგები: ჩემო კარგებო! კარგად დაფიქრდით, როდესაც უმწიფარი აბიტურიენტის ნაწერში ღვლარჭნილ-ჩახუჭუჭებულ სიბრძნეს წააწყდებით, ვაითუ, ღმერთი გაგიწყრეთ და ნიშანიც დაუკლოთო. კეთილი ინებეთ, ნუ აჩქარდებით, გულდასმით გადაამოწმეთ, ეს სიბრძნე რომელიმე სახელდიდებამოხვეჭილი და ჩინ-მედლებით შემკული პროფესორის კალამს არ ეკუთვნოდეს. ხომ მოგეხსენებათ, ეშმაკი წყლისფერია და ძილიც არა სჩვევიაო.

ქართველ ენათმეცნიერს, სამწუხაროდ, არ გაუფრთხილებია მოსკოველი მწერლები (ჯერ კიდევ ე.წ. „პიროვნების კულტის" აყვავების ჟამს), ვიდრე რაიმე ჭკვიანურს წამოროშავდეთ, ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერითო. ან კი როგორ გააფრთხილებდა, როგორ მიაწვდენდა ხმას კავკასიის მთებში ჩაკარგული ენათმეცნიერი მოსკოვის ლიტერატურულ ელიტას?!

...როგორც ირკვევა, 1947 წლის 13 მაისის საღამოს სამი თვალსაჩინო საბჭოთა მწერალი გამოცხადებულა კრემლში, კრემლის მბრძანებელთან შესახვედრად. ესენი ბრძანდებოდნენ: სსრკ მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი ალექსანდრე ფადეევი, ჟურნალ „ნოვი მირის" მთავარი რედაქტორი კონსტანტინე სიმონოვი და შედარებით ნაკლებად ცნობილი ბორის გორბატოვი.

სამ თვალსაჩინო მწერალს იქ სამი თვალსაჩინო პოლიტიკოსი დახვდა: ამხ. სტალინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. მოლოტოვი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში ამხ. ჟდანოვი.

ხანმოკლე გაცნობა – მოკითხვის შემდეგ მასპინძელმა ფადეევს გადასცა საბჭოთა პრესაში გამოსაქვეყნებლად გამზადებული წერილი, რომელიც ეხებოდა ერთ მტკივნეულ საკითხს, მალე ფიცხელ იდეოლოგიურ კამპანიაში რომ უნდა გადაზრდილიყო.

საქმე ის გახლავთ, რომ დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა პროფესორებმა ნ.კლიუევამ და გ. როსკინმა შექმნეს კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატი „კრუცინი", რომლის ქმედების ეფექტიანობა კარგა ხანს იწვევდა დავას სპეციალისტთა შორის, მაგრამ მისი სასწაულთმოქმედი ძალა ბევრს სჯეროდა.

აღნიშნული პრეპარატის ავტორთა თხოვნით, ხელნაწერი მათი მონოგრაფიისა „ავთვისებიან სიმსივნეთა ბიოთერაპია", რომელიც უნდა გამოცემულიყო მოსკოვში, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ვ. პარინმა ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი სამსახურებრივი ვიზიტის დროს (1946წ), სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის წესით, გადასცა ამერიკელ გამომცემლებს. სტალინს სწამდა „კრუცინის" დიდი ფასეულობა და, ამდენად, საბჭოთა მეცნიერთა ამგვარი გულუხვობა მიიჩნია უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საიდუმლოების გაცემად. პარინს, შპიონაჟის ბრალდებით, მიესაჯა 25-წლიანი პატიმრობა. რაც შეეხება „კრუცინის" ავტორებს და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პოსტიდან გამოპანღურებულ გ. მიტერიოვს, ისინი წარსდგნენ „ღირსების სამსჯავროს" წინაშე და ჯერჯერობით მხოლოდ გაკიცხულ იქნენ, მაგრამ მომავალში რა ელოდათ, ეს არავინ უწყოდა.

ჩვენ რითა ვართ დასავლეთზე უარესნიო? ...აი, კაცი საუცხოოდ აკეთებს თავის საქმეს, ოღონდ ეს თავადაც არ ესმისო, საბჭოთა პროფესორი მონურად იხრის ქედს ვიღაც არამზადა უცხოელის წინაშე, რომელიც მასზე სამი თავით დაბლა დგასო, ეს კი თავის ღირსებას კარგავს და სამშობლოსაც არცხვენსო; დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ თვითდაკნინების სულისკვეთებას, რაც მრავალ ჩვენს ინტელიგენტს ახასიათებსო – ასე მოძღვრავდა სტალინი სამ თვალსაჩინო საბჭოთა მწერალს.

ფადეევი ხმამაღლა კითხულობდა ზემოხსენებულ წერილს, ხოლო სტალინი, ჩვეულებისამებრ, მიდი-მოდიოდა კაბინეტში, სახეზე დაძაბული გამომეტყველება აღბეჭდოდა და ყურადღებით აკვირდებოდა სტუმრებს, თითქოსდა მათი განწყობილების ამოკითხვა ეწადა.

როცა წერილის კითხვა დამთავრდა, სტალინს უთქვამს: უნდა მოვსპოთ ეს სულისკვეთება თვითდაკნინებისა, დასავლეთის წინაშე ქედის მოხრისა, საბჭოთა პატრიოტიზმის ნაკლებობისა. საჭიროა, რომ ამ თემაზე დაიწეროს მხატვრული ნაწარმოები, რომანიო.



გ. როსკინი და ნ. კლუევა

– ეს უფრო პიესის თემა გახლავთ, – ისროლა რეპლიკა სიმონოვმა.

თავის მემუარებში თავს იმართლებს: ეს ფრაზა სრულიად უნებლიეთ წამომცდა, პროფესიული თვალსაზრისი მიკარნახებს, რომ აღძრული თემა სცენას უფრო შეეფერება, ვიდრე წიგნსაო.

მაგრამ სტალინის რეაქცია სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო. აბა, თავად განსაჯეთ-მეყსეული რეპლიკა ისროლა მწერალმა, ვისაც ოთხი სტალინური პრემიიდან სამი ჰქონდა მიღებული დრამატურგიაში და მსმენელს, ალბათ, უნდა ეგულისხმა, რომ იგი თვითონ აპირებდა გარჯას, როცა ამბობდა, ეს უფრო პიესის თემა გახლავთო.

ასეა თუ ისე, დატრიალდა კარუსელი და სიმონოვი ცხენ-ჯოხზე შემოასკუპეს, ანუ –დაიბარეს ცენტრალურ კომიტეტში და გააცნეს მასალები კლიუევა-როსკინის საქმის შესახებ, რაც პიესაზე მუშაობისას გამოადგებოდა.

სიმონოვი მიხვდა, რომ მისი დაუფიქრებელი რეპლიკა გაგებულ იქნა, როგორც მზადყოფნა აღძრულ თემაზე პიესის დასაწერად, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ პირდაპირი დავალება არ ყოფილა და პირდაპირი ვალდებულებაც არ აუღია.

მალე ისევ დაიბარეს და ჰკითხეს, როგორ მიდის საქმე იმ პიესისა, რომლის დასაწერად საჭირო მასალები გაგაცანითო?

რა უნდა ექნა სიმონოვს? ოცდათორმეტი წლის მწერალი სტალინური პრემიის უკვე ოთხგზის ლაურეატი იყო და ყველამ კარგად იცოდა, თუ უშუალოდ ვინ ანიჭებდა პრემიებს. მოდი და ამის შემდეგ უარი სტკიცე ბელადის დაკვეთას, მით უმეტეს, რომ თავისივე რეპლიკით გაჰყო თავი უღელში. დიახაც ნანობდა, მწარედ ნანობდა, მაგრამ რაღას უშველიდა სინანული.

სიუჟეტის მოფიქრებას დიდი ტვინისჭყლეტა არ დასჭირვებია: მთავარი გმირი პიესისა,



სავსებით პატიოსანი კაცი, იმავდროულად, პატივმოყვარეა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თავის სამეცნიერო მიღწევათა გახმაურებას საზღვარგარეთ. იგი ქმნის ვაქცინას შავი ჭირის წინააღმდეგ და თავის აღმოჩენას აცნობს კაპიტალისტურ სამყაროს. თავშიც კი არ მოსდის, რომ მისი ნამუშევარი შეიძლება გამოიყენონ არა შავი ჭირის, არამედ პროგრესული კაცობრიობის წინააღმდეგ. დასავლეთის წინაშე ქედმოხრის შედეგად თავს ჩაიგდებს თავისი სამშობლოს ინტერესთა პოტენციური მოღალატის როლში და საკადრისი სასჯელი ელოდება.

უჭირდა ამგვარი პიესის წერა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და წერდა, რადგანაც ასე იყო საჭირო!

ოცდაათი წლის შემდეგ თავის მემუარებში სასტიკ თვითგვემას ეძლევა და გადაჭრით ამბობს, ახლა ძლივძლივობით გადავიკითხე ჩემთვის სამარცხვინო კონიუნქტურული პიესა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამეწერა, ამ თვითგაუპატიურებას უნდა შევბრძოლებოდიო.

1948 წლის გაზაფხულზე დაამთავრა პიესა, დაარქვა „სხვისი ჩრდილი" და, როგორც გვარწმუნებს, გააკეთა ის, რაც არც მანამდე და არც შემდგომში არასდროს გაუკეთებია, ანუ - არც ჟურნალში წაუღია დასაბეჭდად და არც თეატრში დასადგმელად, პირდაპირ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნა. გარკვეული ბიუროკრატიული თავგადასავლების შემდეგ „სხვის ჩრდილს" მთავარი ადრესატის კაბინეტამდე მიუღწევია.

1949 წლის იანვარში სიმონოვს შეატყობინეს, რომ ტელეფონით დაერეკა სტალინისათვის.

– მე წავიკითხე თქვენი პიესა „სხვისი ჩრდილი". ჩემი აზრით, კარგი პიესაა, მაგრამ...

აი, სწორედ ეს „მაგრამ" გახდა ის ძაღლის თავი, რომელიც ისე იყო დამარხული, რომ კაციშვილი ვერ მიაგნებდა.

სტალინის საკმაოდ ვრცელი სატელეფონო მონოლოგი ხაზგასმით აუწყებდა სიმონოვს, რომ საბჭოთა მთავრობას, მიუხედავად პიესის მთავარი გმირის ტრუბნიკოვის შეცდომებისა, ეჭვიც არ ეპარება მის პატიოსნებაში და სჯერა, რომ მას ძალუძს, ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე.

ასე რომ, ქვეყნის გენერალური რედაქტორ-ცენზორი პიესის მთავარი გმირის დასჯას კი არ მოითხოვდა, არამედ – პატიებას. დამოკლეს მახვილი უნდა გამქრალიყო სცენიდან.

სიმონოვი თავის მემუარებში აღნიშნავს, სტალინის მიერ შემოთავაზებული ფინალი პიესისა ფრიად მეჭაშნიკებოდაო. თუკი თვით ბელადი მიუტევებდა ჩემი პიესის მთავარ გმირს იმას, რაზედაც ესოდენ შეუწყნარებლად ლაპარაკობდა, როცა საქმე ეხებოდა რეალურ ცხოვრებას, მე მით უფრო მზად ვიყავი, ტრუბნიკოვის ბედი სასიკეთოდ შემეცვალაო.

სიმონოვს სასწრაფოდ (ლამის ერთ დღეში!) შეუტანია შესწორებანი. პიესა დაუყოვნებლივ დაიბეჭდა ჟურნალ „ზნამიას" იანვრის ნომერში და ასევე დაუყოვნებლივ წარდგენილ იქნა სტალინურ პრემიაზე.

ვიდრე სტალინური პრემიების კომიტეტი გამოიტანდა მსჯავრს, მწერალთა კავშირის სამდივნოს გაფართოებულ სხდომაზე, სხვა წარდგენილ ნაწარმოებებთან ერთად, უნდა განეხილათ სიმონოვის პიესაც.

ამას თუ განხილვა ერქვა! დატრიალდა ულმობელი კრიტიკის უსისხლო კალო.

ერთსულოვნად, ერთხმად დაირაზმნენ სიმონოვის პიესის გასალეწად, აღსაგველად პირისაგან მიწისა. ერთსულოვნად და ერთხმად იწუნებდნენ ძალზე რბილ, ძალზე ლიბერალურ და კაპიტულანტურ ფინალს. ვეღარ გაიგებდი, ვის უფრო ლანძღავდნენ – საბჭოთა სამშობლოს მოღალატედ შერიცხულ ტრუბნიკოვს თუ საბჭოთა სამშობლოს მიერ უზომოდ განებივრებულ სიმონოვს, სტალინური პრემიის ოთხგზის ლაურეატს. რასაკვირველია, ამ უკანასკნელის გათათხვა უფრო ეხალისებოდათ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ისინი, ვინც გულში ჩაბუდებულ კნინობით კომპლექსს გაზვიადებული განდიდების მანიით აჩუმათებდა. ჩინ-მენდლებით უხვად შემკული მწერლის სავსებით საფუძვლიანი, და თუ შეიძლება ასე ითქვას, ლეგიტიმური კრიტიკის უფლება მიეცათ და ამგვარ ცდუნებას ხელიდან ვინ გაუშვებდა!

წყეული ბურჟუაზიული ჰუმანიზმიო, ათასჯერ დაგმობილი ქრისტიანული შემწყნარებლობაო, ყალბი და ფარისევლური კაცთმოყვარეობაო, მტრული კაპიტალისტური სამყაროს ლაქიობაო, მონური სულისკვეთებაო, იდეოლოგიური განიარაღებაო, და ვინ იცის კიდევ რამდენი ბრალდება და იარლიყი ერგო წილად პიესის ავტორს. სისხლი სწყუროდათ და საოცრად შეხმატკბილებულ მაგინებელთა გუნდს იმის მოთხოვნაღა დააკლდა, სიმონოვი სცენაზე ავიდეს და თავისი ხელით დახვრიტოს თავისივე პიესის მთავარი გმირიო.

სტალინური პრემიის ოთხგზის ლაურეატი კი მშვიდად უსმენდა, თუ როგორ ამათრახებდნენ თავისი ძვირფასი კოლეგები სტალინის ლიბერალიზმს და, რა თქმა უნდა, აზრზე არ იყვნენ, რომ მათი ულმობელი კრიტიკის ობიექტი ბრძანდებოდა თვით კრემლის მბრძანებელი.

ერთი სიტყვით, სიმონოვის პიესის ფინალი კატეგორიულად დაგმეს. ახლა სტალინური პრემიების კომიტეტის სხდომაზე უნდა ჩატარებულიყო დასაჯილდოებლად წარდგენილ ნაწარმოებთა განხილვა და სიმონოვი, მოსალოდნელი სახიფათო გაუგებრობის თავიდან ასაცდენად, იძულებული შეიქნა, რომ კომიტეტის თავმჯდომარისათვის (ა. ფადეევი) გაენდო გულში ჩამარხული საიდუმლო ანუ ის, რომ მისი პიესის სვეკეთილი ფინალი ნაკარნახევი იყო პირადად სტალინის მიერ!

ფადეევი გულიანად ახარხარებულა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ხარხარებდაო. საყვედური უთქვამს სიმონოვისთვის, წინასწარ რატომ არ გაგვაფრთხილე, რატომ ჩაგვაგდე ასეთ სასაცილო დღეშიო?

არ მქონდა თქმის უფლებაო. ახლა საიდან გაგიჩნდაო? ახლა სხვა გზა აღარ არი, ვშიშობ კიდევ ერთი კომედია არ გათამაშდეს და ულმობელი კრიტიკის ამბავმა კრემლამდე არ მიაღწიოსო.

სიმონოვის პიესას, ცხადია, მწვანე შუქი აუნთეს. „სხვისი ჩრდილი" მოსკოვშიც დაიდგა და




ლენინგრადშიც. პიესაც და სპექტაკლიც გულუხვად შეაქო პრესამ. სიმონოვის სიტყვით, მსახიობებს ოსტატური თამაშით ნაწილობრივ გაუქარწყლებიათ ნაწარმოების ნაკლოვანებანი.

1949 წლის მარტში ოცდათოთხმეტი წლის მწერალს მეხუთედ მიენიჭა სტალინური პრემია.

თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ კი ძლივძლივობით გადაუკითხავს თავისი „სხვისი ჩრდილი" და მისი შექმნა „თვითგაუპატიურებად" მოუნათლავს.

თვითგაუპატიურება – ჩინებული ტერმინი გამოუგონია სიმონოვს იმ სნეულებისათვის, საბჭოეთში რომ იყო გავრცელებული და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში, თქვენ წარმოიდგინეთ, დღემდე შემორჩენილა.

**მოამზადა**
**ლაშა გიორგაძემ**

◉ მოვლენის წინ

# საგაისო კონტურები

**უკვე გაუწყეთ, რომ გაისად 19 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით ნიდერლანდების ქალაქები ამსტერდამი და გრონინგენი ფუტსალში „ევრო – 2022“-ის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებენ, სადაც ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილი დებიუტანტის – საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები „დ“ ჯგუფში ესპანეთი, აზერბაიჯანი და ბოსნია იქნებიან, ხოლო თითოეული კვარტეტიდან მეოთხედფინალურ პლეი-ოფში 2-2 საუკეთესო გუნდი ითამაშებს.**

გთავაზობთ დანარჩენი ჯგუფების შემადგენლობას:

**„ა“ ჯგუფი** – ნიდერლანდები, უკრაინა, პორტუგალია, სერბეთი ან ბელარუსი (მათ შორის უძლიერესი ნოემბერში გაირკვევა).

**„ბ“ ჯგუფი** – ყაზახეთი, იტალია, სლოვენია, ფინეთი.

**„გ“ ჯგუფი** – რუსეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, ხორვატეთი.

დავძენთ, რომ მომავალი ფორუმის დასკვნით რაუნდში პირველად გამოვა 16 რჩეული.

რაც შეეხება „ჯვაროსანთა“ კალენდარს, მათი შეხვედრების განრიგი გრონინგენში ასეთია:

**22 იანვარი**. საქართველო – აზერბაიჯანი.
**26 იანვარი**. საქართველო – ბოსნია.
**29 იანვარი**. საქართველო – ესპანეთი.

◉ რაგბი



# „შავი ლომის“ მეორე გამარჯვება

**რაგბი ევროპის სუპერთასზე პირველი ქართული ფრანჩაიზი „შავი ლომი“ წარმატებულ გამოსვლას აგრძელებს. ამჯერად ლევან მაისაშვილის გაწვრთნილი გუნდი პენზაში „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდა და მეტოქე ბონუს ქულით – 27:11 დაამარცხა.**

სტუმრებმა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს და მასპინძლებს შანსი არ დაუტოვეს. თავის მხრივ, „ლოკომოტივმა“ ახალ ტურნირზე ზედიზედ მესამე მარცხი განიცადა. მანამდე მან 2 მატჩი „ენისეისთან“ დათმო.

ანგარიში ჯარიმით გიორგი ბაბუნაშვილმა გახსნა და ჩვენები 3:0 დააწინაურა, თუმცა, მალევე მეტოქემ ორი ჯარიმა გაიტანა და წინ გავიდა. აღსანიშნავია, რომ მათი ანგარიშში წინ გაჭრა მხოლოდ რამდენიმე წუთი გაგრძელდა, რადგან მე-14 წუთზე დავით გიგაურმა მცველთა შეცდომით ისარგებლა და პირველი ლელო გაიტანა, რომელიც ასევე ბაბუნაშვილმა გარდასახა და უპირატესობა კვლავ ქართველმა მორაგბეებმა მოიპოვეს. პირველ ტაიმში ჩვენებურებმა კიდევ 2 ლელო დადეს, რომელიც მოლის შემდგომ შალვა მამუკაშვილმა მიითვალა. პირველი ნახევრის მიწურულს გიორგი ბაბუნაშვილის ლელოს ჯერიც დადგა და ახალგაზრდა სპორტსმენის დამიწების შემდგომ გუნდები შესვენებაზე 6:22 ანგარიშით გავიდნენ.

მეორე ნახევარი შედარებით მშვიდი გამოდგა და როგორც ქართველებმა, ისევე „ლოკომოტივმა“ მხოლოდ თითო ლელო დადეს. რუსული გუნდიდან ეს გიორგი ჭყოიძემ მოახერხა და სხვაობა 11 ქულამდე შეამცირა. ჩვენებურთაგან მეტოქეთა ჩათვლის მოედანი გოგა ხუროშვილმა აიღო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, ამ ლელოს წყალობით კი ბონუს ქულაც მოვიპოვეთ.

„შავი“ ლომი“ 2 გამარჯვებით სატურნირო ცხრილში პირველ-მეორე ადგილს „ენისეისთან“ ინაწილებს, რომელსაც 30 ოქტომბერს სოჭში შეხვდება.

◉ გზაჯვარედინზე

# წასვლა - არწასვლა...

**გაჭიანურებული აჟიოტაჟი, გავრცელებული ჭორები კლუბის მესვეურთა მადის შესახებ, რომ რაც შეიძლება ძვირად გაეყიდათ „ბრილიანტი“, როგორც თავად უწოდებენ, „რომელსაც მტვერი უნდა მოვაცილოთ და არავის არ უნდა მივცეთ უფლება, ჭუჭყში ამოსვაროს“, და, ბოლოს, ტრავმა – ეს იმ ფაქტორთა ნაწილია, 20 წლის თვითნაბადი ტალანტის ხვიჩა კვარაცხელიას ევროპული ტრანსფერი რომ შეაფერხა.**

ბოლოსდაბოლოს, როგორია სიმართლე? ალბათ, ბევრს გაუჩნდება ეს კითხვა. პასუხის გაცემას ყაზანის „რუბინის“ მთავარ მწვრთნელ **ლეონიდ სლუცკიზე** უკეთესად ვერავინ შეძლებს, ამიტომ მოვუსმინოთ მის მონოლოგს, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „საფეხბურთო ტაიმაუტისთვის“ მიცემული ინტერვიუდან „გამოცხვა“.

„ხვიჩა ამაყობს, რომ საქართველოს ნაკრების ნაწილია და უნდა, რომ სარგებლობა მოუტანოს მას. ჩვენ რუსული მედიის გავლენისგან ვიცავთ, მაგრამ ქართულისგან – ვერა. იგი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს თქვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საზოგადოების კრიტიკას, რადგან ძალიან მიბმულია სამშობლოსთან.

მოვუწოდებ კვარაცხელიას გარემოცვას, უპირველესად – მამამისსა და აგენტს, რომლებმაც გადაჭარბებული აჟიოტაჟი შექმნეს, აგრეთვე ქართველ გულშემატკივრებს – შეამცირონ ზეწოლის წნეხი, რადგან ჯერაც ახალგაზრდაა და ხელი არ შეუშალონ ჩამოყალიბებაში. მე ყველაზე ბედნიერი ვიქნები, თუკი მას ერთ-ერთი გრანდის მაისურით ვნახავ.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ თუ ადრე „რუბინის“ ბაზაზე ცხოვრობდა, დამატებით ვარჯიშობდა და უბურთოდ ვერ ძლებდა, უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ფეხბურთისადმი ფანატიკური დამოკიდებულება აღარ ჰქონდა.

საერთოდ, უნდა იცოდეს, რომ ფეხბურთი სამართლიანი თამაშია – ის გარკვეულწილად პასუხობს ხვიჩას იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს ძველებურად მონდომებული აღარ იყო.



მოკლედ, როცა საუკეთესო შეხვედრებს ატარებდა, ნებისმიერ დონეზე შეეძლო თამაში, მაგრამ როგორც ახალ სეზონში გამოიყურება, ყაზანელთა სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრებაც უჭირს.

ვფიქრობ, მას სურს, ყველას დაუმტკიცოს, და უპირველესად საკუთარ თავს, რომ ბოლოდროინდელი წარუმატებლობები შემთხვევითობა იყო და ის დიდ ფეხბურთელად რჩება, მინიმუმ – ჩვენ კლუბში. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ და მხარს ვუჭერთ.

საბედნიეროდ, ახლა კარგად ვარჯიშობს და ესმის, რომ მისი ტრანსფერი, რომლის თაობაზეც რეალურად არანაირი კონკრეტული შემოთავაზება არ გვქონია, მხოლოდ დროებით ჩაიშალა“.

◉ დილემა

# გემოვნებაზე არ დავობენ

**კვლავაც აქტუალურია მარადიული თემა – ვინაა საუკეთესო კალათბურთელი ნბა-ს ისტორიაში? აღნიშნული საკითხი, ალბათ, არასოდეს გადაიჭრება, თუმცა, იმ პოზიციებს, რომლებსაც ახლა გაეცნობით, ნამდვილად აქვს საფუძველი და არსებობის უფლება, მით უმეტეს, გამომთქმელთა დამსახურების გათვალისწინებით სპორტულ სამყაროში.**

**აიზია თომასი** – ლებრონ ჯეიმსი გაცილებით უკეთესი მოთამაშეა, ვიდრე მაიკლ ჯორდანი. იგი სრულფასოვანი კალათბურთელია – ხსნის ბურთებს ფარიდან, არიგებს პასებს და თავადაც აგროვებს ქულებს, მოკლედ – უნივერსალია, ანუ ბილ რასელისა და ქარიმ აბდულ ჯაბარის სინთეზი.

**შაკილ ონილი** – ჩემპიონის ტიტულები მშვენიერია, მაგრამ ლებრონის მთავარი მიზანი ჯაბარის რეკორდის მოხსნაა, რომელმაც კარიერა 38387 ქულის მოგროვებით დაასრულა.

რადგან სადღეისოდ „მეფის“ აქტივში უკვე 35 460 ქულაა, ადვილად გამოვთვლით, რომ ლეგენდარული წინამორბედის რეკორდის მოსახსნელად მას რამდენიმე წელიწადის განმავლობაში საშუალოდ თითოეულ მატჩში 25-ქულიანი პირადი მონაგარი სჭირდება.

აი, სწორედ იმ შემთხვევაში, თუ ასე მოხდება, ნბა-ს ყველა დროის საუკეთესო მოთამაშეზე კამათი ავტომატურად დასრულდება.

ვითომ?

◉ რჩეული ამოცანები და ეტიუდები



ოთარ ტაბიძე
(1925–1986)

# მშვენიერების ქართველი მესაიდუმლენი

**პოეზიის მეფემ – გალაკტიონმა საჭადრაკო ხელოვნებას „ჭადრაკის პოეზია“ შეარქვა, ნებისმიერ სვლას ისე სწრაფად უნდა ჩაწვდე, რომ სწორ გზას არ აცდე – გვასწავლიდა ლეგენდარული მიხეილ ბოტვინიკი.**

აღსანიშნავია, რომ მრავალი ბრწყინვალე ეტიუდი შეიქმნა უშუალოდ პრაქტიკული თამაშის კარგად ჩაფიქრებული კომბინაციებიდან. ასეთი ეტიუდების შესანიშნავი ნიმუშებია ისეთი კორიფეების ეტიუდები, როგორიც იყვნენ რეტი, მატისონი, ჩეხოვერი, ტიმანი, დადიანი და სხვები. ამჯერად გაგაცნობთ ეროვნული საკომპოზიციო სკოლის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს ქართული ჭადრაკის საყოველთაო აღიარებაში.

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

**„საჭადრაკო ჭეშმარიტება უფრო მეტია იდეებში, ვიდრე ვარიანტებში“.**
**რიხარდ რეტი**

№ 74. საქსპორტკომ. კონკ. 1947
I პრიზი



№ 75. "ახალგ. კომუნისტი" 1955
II სპეც. პრიზი



№ 76. "პრობლემ" 1967
I საპ. შეფასება



№192. ორშაბათი, 25 ოქტომბერი, 2021 წელი.



## დავით გადელია:
# სიმართლე პანდემიაზე

**„ნუ მოვატყუებთ ერთმანეთს ფუჭი იმედებით, ვთქვათ პირდაპირ:**

პირველი, ძალიან მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომელიც გულისხმობდა უხილავი მტრისგან თავდასაცავი მაღალი ზღუდის აშენებას — წავაგეთ! ვერ ვაშენებთ იმ სიმაღლის ზღუდეს (აცრილთა პროცენტს ვგულისხმობ), რომ თავი სრულად დავიცვათ. რაც შევქმენით, კი შეაკავებს მტერს ნაწილობრივ, მაგრამ არა სრულფასოვნად. წავაგეთ არა მე, არა ნებისმიერმა პასუხისმგებელმა მოქალაქემ, არა გამყრელიძემ ან მთავრობამ, წააგო ქვეყანამ და წააგო გაუნათლებლობის, უმეცრების, სიბნელის, უბრალოდ — რეგვენობის მაღალი მაჩვენებლის გამო! ჩემმა სათაყვანებელმა ქვეყანამ, რომლის განათლებულობითაც, თუნდაც 3 ათეული წლის წინ ისე ვამაყობდი, რომ მზად ვიყავი ნებისმიერ ქვეყანას შევდარებოდი! განათლებაზე, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე ტესტი ვერ ჩავაბარეთ... კი ბატონო, კარგია და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ არ გავცდით ადამიანის უფლებების ჩარჩოებს, მაგრამ ვერც ალტერნატიული ეფექტური მოტივატორები მოინახა. არც ლოტომ უშველა და ვერც კარდაკარ სიარული შველის. ჩემთვის მიუღებელია ასეთი შედარება, რომელსაც ხშირად ჩემი მეგობრებიც იყენებენ — „ის მთავრობა რომ ყოფილიყო, ეს ლიდერი რომ ყოფილიყო ყველანი 3-3-ჯერ ვიქნებოდით აცრილები!!“ ასეთი შედარება ჩემთვის ერთ საერთო ნიშნულამდე მიდის — „სტალინი რომ ყოფილიყო“-მდე. წარმოვიდგენ, რა მეთოდებითაც ვიქნებოდით სამ-სამჯერ აცრილები და ამის მთქმელი მეგობრებისგან განსხვავებით, კმაყოფილების ნაცვლად მზარავს!

**მოკლედ, დასკვნა ასეთია: დემოკრატიის ამ ეტაპზე, ჩვენი ქვეყნის განათლება-სირეგვენის მაჩვენებელი ისეთია, როგორიც პროცენტებში გამოისახა..**

რა არის ბრძოლის მეორე ეტაპი? რა ახალი რედუტებია მტერთან საბრძოლველად? ესაა მედიკამენტები, რომელსაც კაცობრიობა ნელ-ნელა იგონებს და წლის ბოლომდე სხვადასხვა მოქმედების იქნება წარმოდგენილი. ახლავე ვამბობ: მედიკამენტები იქნება დეფიციტური მთელი მსოფლიოსთვის და საშინლად ძვირი!! ახლაც ვხმარობთ ციტოკინური შტორმის წინააღმდეგ გარკვეულ მედიკამენტებს, რომელიც ერთი სრულყოფილი გადასხმა (წონის გათვალისწინებით) 7-8 ათასი ლარი ჯდება. ქვეყანამ დონაციით შემოიტანა ტაბლეტური, შედარებით ცოტა სუსტი სხვა მედიკამენტი, რომელსაც ასევე სტაციონარულად ვიყენებთ და კურსი 7 ათას დოლარამდე უჯდება ქვეყანას. შემოვა მონოკლონური ანტისხეულების შემცველი მედიკამენტები, რომელთა მიღება ამბულატორიულად შეიძლება და ერთ კურსს უცხოელი ფარმკომპანიები 5-6 ათას დოლარზე ნაკლებად არ გაყიდიან. წლის ბოლოსთვის კი ანტივირუსული მედიკამენტიც უნდა იყოს, რომლის ფასიც ალბათ ამ რეესტრში, ანუ რიგითი მოქალაქისთვის მიუწვდომელი იქნება!

მაგრამ რაში ადარდებს ფასი უპასუხისმგებლო ობივატელს?! „კეთილი ინებოს და სახელმწიფომ იზრუნოს, მეკუთვნის!!“ არანაირი განცდა იმისა, რომ ეს ქვეყანა ჩვენია, რომ ასე უყაირათოდ დახარჯული ფული ჩვენს შვილებს ან ჩვენს მშობლებს — თუნდაც ჩვენ გვაკლდება არაა! ის რაც სსრკ-ის დროს შეიძლება გამართლებული იყო — „დიდი ამბავი, თუ რუსეთის ფინანსებს გამოვჭამთ“, საკუთარი ქვეყნის შემთხვევაში მავნებლობაა. „რატომაა ქვეყნის მიერ წამლების ყიდვა უყაირათობა?“ — იკითხავს რეგვენი ანტივაქსერი. იმიტომ, რომ ბევრად უფრო იაფად და ურისკოდ შეიძლებოდა დაავადების თავიდან აცილება! ახ-



ლა ამ ძვირფასმა წამლებმაც შეიძლება არ გვიშველოს. მე არ მინახავს არც ერთი აუცრელი მძიმე ავადმყოფი, რომელიც ჩაუკირკიტებდა ამ საკმაოდ მძიმე მედიკამენტების ანოტაციას და წარმოშობასვინ დაეძებს, ოღონდ იყოს!! მაშინ, როცა ვაქცინების მოლეკულურ დონეზე ანალიზს ითხოვენ. ეს მედიკამენტები არაა ახალი შექმნილი, ასე რომ ენდობით? თუ გგონიათ, რომ მედიკამენტის შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე ვაქცინის და იგივე დროში შექმნილი ვაქცინა არ ინდობა?

ჩვენს დაუცველობას ემატება უახლოეს სამეზობლოში კატასტროფული ეპიდსიტუაცია, ახალი შტამები.. როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში გადმოვა ეს მდგომარეობა ჩვენთან იმ ქვეყნიდან, სადაც მილიონამდე ჩვენი ნათესავ-მეგობარია? არაფერს ვამბობ ტურიზმზე, რომელიც ბევრი ჩვენი თანამემამულისთვის ძირითადი საარსებო წყაროა“..

## ვერ ვხედავ რაიმე საფუძველს იმისთვის, რომ დამატებითი შეზღუდვები დაწესდეს



ჯანდაცვის მინისტრის შეფასებით, ქვეყანაში შეზღუდვების გასამკაცრებლად, ამ დროისთვის, ობიექტური მიზეზი არ არსებობს.

**„ინფექციის გავრცელების კოეფიციენტი 1,32-ია. ერთი კვირის წინ, ეს მაჩვენებელი იყო 1,72. ვინაიდან ვხედავთ, რომ კოეფიციენტმა დაიწია, ჩნდება მოლოდინი, რომ, აბსოლუტურ რიცხვში, შემდეგი კვირის ბოლოს, დაბალი მაჩვენებლები გვექნება. აქედან გამომდინარე, ვერ ვხედავ რაიმე საფუძველს იმისთვის, რომ დამატებითი შეზღუდვები დაწესდეს“,** — აღნიშნავს ეკატერინე ტიკარაძე.

## საქართველოს მოსახლეობა აკეთებს ყველაფერს, რომ პანდემია კიდევ უფრო გაძლიერდეს!



**„ახალი შემთხვევების ზრდა სახეზეა. ასეთი კატასტროფულად მაღალი შემთხვევებისთვის, საბედნიეროდ, ჯერჯერობით ვინარჩუნებთ გარდაცვალების ძალიან დაბალ პროცენტს, თუმცა ეს დაბალი პროცენტი აბსოლუტურ რიცხვებში გამოხატული, მაინც დიდია. დღეს საქართველოს მოსახლეობა აკეთებს ყველაფერს, რომ პანდემია კიდევ უფრო გაძლიერდეს და მეხუთე ტალღა იყოს უფრო მძიმე, ვიდრე მეოთხე ტალღა იყო. კატეგორიული უარი გვაქვს ვაქცინაციაზე. დღეში მხოლოდ 4-5 ათასი ვაქცინა ტარდება და ეს არის მიზერული რიცხვი. მეორე მხრივ უარია პირბადის ტარებაზე. 45 %-ია პირბადის გამოყენების მაჩვენებელი საქართველოში. მიმაჩნია, რომ მთავრობა უნდა წავიდეს არა შეზღუდვებზე, არამედ — არსებული რეგულაციების კონტროლის გაძლიერებაზე“,** — განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

## ყინული გალღვა, მიმდინარეობს ვაქცინაციის მარათონი



**ერთი კვირაა, მიმდინარეობს ვაქცინაციის მარათონი. ოდნავ გაიზარდა სოფლის მოსახლეობის დაინტერესება, დნება უნდობლობის ყინული, მაგრამ მაინც დიდია შიში ვაქცინაციის,** — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

**„არასწორი ინტერპრეტაციებია, რომ ეს ჩვეულებრივი გრიპია, მარტივად გადავიტანთ, მერე რა მოხდა და ა.შ. ასევე გალღვა ყინული სოფლის ექიმებში, მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ გაიარეს გადამზადება. მაინც ეშინოდათ ვაქცინის და ეს თანდათან ამ მობილური ბრიგადების ჩარევის ფონზე უმჯობესდება. ბევრი არა, 1200 ადამიანი დამატებით აიცრა მარათონის ფარგლებში. მომავალ კვირაში სამცხე-ჯავახეთი და დასავლეთ საქართველო აქტიურდება უფრო მეტად. ვნახოთ, რა იქნება. ვფიქრობ, რომ ამ მარათონით, სოფლის მოსახლეობაში უფრო მეტი აქტივობა გვექნება, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ვერ გადაწყვეტს აცრების პრობლემას“,** — განაცხადა გამყრელიძემ.

# საქართველოში დიდი ჰესების დრო დასრულებულია!



**საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ვაზილ ჰუდაკი მიიჩნევს, რომ საქართველოში დიდი ჰესების მშენებლობის პერიოდი დასრულებულია, — ამის შესახებ მან Forbes Talks-თან ისაუბრა.**

მისი თქმით, ამის მიზეზი საქართველოში ამ ტიპის პროექტების მიმართ არსებული წინააღმდეგობებია, ალტერნატივად კი ჰუდაკი მზის და ქარის ენერგიების ფართომასშტაბიან ათვისებას ხედავს:

**„ჩემი პირადი განცდაა, რომ საქართველოში დიდი ჰიდროენერგეტიკული პროექტების დრო დასრულებულია. ამას ვამბობ, იქიდან გამომდინარე, რაც ხდება ქვეყანაში და რამდენად დიდია ადგილობრივი წინააღმდეგობა ამ ტიპის პროექტების მიმართ. პოტენციურად, მომავალს ვხედავ უფრო მცირე ზომის ჰიდროენერგოსადგურების მშენებლობაში და ასევე განახლებადი ენერგიების განვითარებაში — განსაკუთრებით, მზისა და ქარის ენერგიების მიმართულებით. ამისთვის დაგვჭირდება სისტემური ბალანსის მიღწევა. დიდი პროექტი, რომელშიც მეც ვარ ჩართული დღეს, ეხება ენერგიის შენახვის სისტემის განვითარებას საქართველოში, რომელიც იქნება დივერსიფიცირებული“,** — განაცხადა ჰუდაკმა.

პრემიერ-მინისტრის მრჩევლის შეფასებით, მნიშვნელოვანია, საქართველომ ენერგიის შენახვისთვის, ბატარეების ინდუსტრიაც განავითაროს და შესაბამისი შემნახველი სისტემები შექმნას.

**„მიმაჩნია, რომ მომავალში ინვესტორს, რომელიც საქართველოში მზისა და ქარის ენერგიაში ინვესტირებით დაინტერესდება, უნდა დაევალოს ასეთი სისტემის აშენება. სისტემა ელექტროენერგიას შეინახავს, როცა მიწოდება იქნება მაღალი და ამით მივიღებთ სისტემურ ბალანსს. პრემიერთან და ეკონომიკის მინისტრთან ისიც განვიხილე, რომ თუ ბატარეების შემნახველი სისტემის არსებობის პირობებში, ბატარეებზე დიდი შიდა მოთხოვნა იქნება — ამას საქართველოში ბატარეების წარმოებისთვის გამოვიყენებთ. დღეს ბატარეების წარმოება გლობალური ეკონომიკის ახალი სეგმენტია და ვფიქრობ, საქართველომ სწორედ ასეთი ახალი სეგმენტების იდენტიფიცირება უნდა შეძლოს და ამ სეგმენტებში თავის უნიკალურ ნიშას მიაგნოს. ეს სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ რეგიონს. ამდენად, ჩვენ ვსაუბრობთ საქართველოზე, როგორც ბატარეების ჰაბზე. ამავე თემაზე ვესაუბრები ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტსაც, რომელიც ჩემი თანამემამულეა, რომ ერთგვარი აკადემია შევქმნათ, უნარები განვავითაროთ, ხოლო როცა ამ ინდუსტრიაში უნარებს დავაგროვებთ, შეგვიძლია უკვე ბატარეების გადამუშავებაზეც ვიფიქროთ. ცირკულარული ეკონომიკის ელემენტი შემოვიტანოთ, რაც სრულ ხაზს გულისხმობს — წარმოება, უნარები და ა.შ,“** — ამბობს ვაზილ ჰუდაკი.



2021 წლის სექტემბერში ნამახვანჰესის ინვესტორმა კომპანია ENKA-მ განაცხადა, რომ სახელშეკრულებო პირობების დარღვევების და ფორსმაჟორული ვითარების გამო, 4800-მილიონიანი პროექტის განვითარებას წყვეტს და მთავრობასთან არსებულ ხელშეკრულებას მოშლის. კომპანიის გადაწყვეტილება მთავრობის მიერ ჰესის კაშხლის მშენებლობაზე გამოცხადებულ მორატორიუმს და მრავალთვიან პროტესტს მოჰყვა.

გაჩერებულია ხუდონჰესის 702-მეგავატიანი ჰესის პროექტიც. ფინანსთა სამინისტროს დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ამჟამად პროექტის ინვესტორთან Trans Electrica BVI-სთან ხელშეკრულების შეჩერების პროცესი მიმდინარეობს.

თითქმის შეჩერებულია „ნენსკრაჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის განვითარებაც, რომელზეც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს სესხის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებები ჯერ არ მიუღიათ. სწორედ EIB-ის, ADB-ის და EBRD-ის სესხებია აუცილებელი, რათა პროექტი აშენდეს.



# ქართული ცეკვის ლეგენდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, **ირაკლი ღარიბაშვილი** ლეგენდარულ მოცეკვავესა და ქორეოგრაფს, **ფრიდონ სულაბერიძეს** 80 წლის იუბილეს ულოცავს.

**„ბატონმა ფრიდონმა მთელი ცხოვრება ქართული ქორეოგრაფიის განვითარებას, ჩვენი კულტურული ტრადიციების აღორძინებასა და პოპულარიზაციას მიუძღვნა. მაღალი პროფესიონალიზმითა და საქმისადმი თავდადებით მან ყველაზე დიდი ჯილდო — ხალხის სიყვარული მოიპოვა. გულითადად ვულოცავ იუბილეს ბატონ ფრიდონს და კვლავაც დღეგრძელობასა და მხნეობას ვუსურვებ“,** — აღნიშნულია საქართველოს პრემიერის განცხადებაში.



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად მიესალმება ქართული ქორეოგრაფიის რაინდს და მთელი სულითა და გულით ულოცავს საიუბილეო თარიღს!

# იერუსალიმის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი

**25 ოქტომბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიაც აღნიშნავს იერუსალიმის ყოვლაწმიდა ღვთისმშობლის (იერუსალიმად წოდებულია ქრისტეს შობიდან 48 წელს, ლუკა მახარებლის მიერაა დაწერილი) ხატის დღესასწაულს.**

ლუკა მახარებლის მიერ გეთსამანიაში შექმნილი იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატი 463 წელს კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს. მისი მეოხებით ბიზანტიელმა მეომრებმა უკუაგდეს მომხდურ სკვითთა ლაშქარი.

საგულისხმოა ისიც, რომ 988 წელს იერუსალიმის ხატი კორსუნში გადააბრძანეს და მოციქულთა სწორ ვლადიმირს უბოძეს, ხოლო ვლადიმირმა იგი ნოვგოროდელებს აჩუქა.

აღსანიშნავია ისი, რომ ივანე მრისხანემ 1571 წელს ნოვგოროდი დაარბია და სიწმინდე მოსკოვის მიძინების ტაძარში გადააბრძანეს, მაგრამ ნაპოლეონის თავდასხმის შემდეგ იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატი უკვალოდ გაქრა; სანაცვლოდ ზუსტი ასლი გააკეთეას და მოსკოვის მიძინების ტაძარში დაასვენეს.



**გიული ლიპარტია**

# ტრაგედია გადასაღებ მოედანზე



**ამერიკელი რეჟისორი ჯოელ სოუზა, გადასაღებ მოედანზე დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, პირველ განცხადებას ავრცელებს.**

ის აღნიშნავს, რომ განადგურებულია მეგობრისა და კოლეგის, ჰალინა ჰატჩინსის დაკარგვის გამო.

**„ის იყო კეთილი, ენერგიული, წარმოუდგენლად ნიჭიერი, ბევრს იბრძოდა და ყოველთვის მიბიძგებდა, უკეთესი გავმხდარიყავი. ახლა, ამ რთულ დროს, ჩემი ფიქრები მისი ოჯახისკენაა მიმართული. მადლობელი ვარ იმ სიყვარულისთვის, რომელიც ვიგრძენი კინემატოფრაფთა საზოგადოებისგან, სანტა-ფეს მოსახლეობისგან და ათასობით უცხო ადამიანისგან. ეს აუცილებლად დამეხმარება გამოჯანმრთელებაში“,** — აღნიშნავს ის.

ოპერატორი ჰალინა ჰატჩინსი ჰოლივუდის ცნობილმა მსახიობმა, ალეკ ბოლდუინმა ფილმ Rust-ის გადასაღებ მოედანზე სარეკვიზიტო იარაღით მოკლა. დაჭრილი რეჟისორი საავადმყოფოდან უკვე გაწერეს. ფილმის გადამღები კომპანიის წარმომადგენლის თქმით, ინციდენტი იმ სცენის გადაღების დროს მოხდა, როდესაც ბოლდუინს ცარიელი ვაზნებით უნდა ესროლა.

# პიკასოს 11 ნამუშევარი რეკორდულ ფასად გაიყიდა

**1973 წელს გარდაცვლილი ესპანელი მხატვრის, პაბლო პიკასოს 11 ნამუშევარი აუქციონზე რეკორდულ ფასად, 4110 მილიონად გაიყიდა.**

ნამუშევრები კომპანია **MGM Resorts**-ს ეკუთვნოდა და ისინი **Bellagio Hotel**-ში, **Picasso Restaurant**-ის კედლებს ამშვენებდა.

კოლექცია მხატვრის შემოქმედების 50 წელზე მეტს მოიცავს. 11 დან 9 ნამუშევარი ნახატია, 2 კი — კერამიკა. ნამუშევრებიდან ყველაზე ძვირად შეფასდა „ქალი ნარინჯისფერი ბერეტით“ (1938 წ.), რომელზეც აღბეჭდილია პიკასოს მუზა მარია-ტერეზა ვოლტერი. ნახატი 440.5 მილიონად გაიყიდა. თავდაპირველად, ვარაუდობდნენ, რომ მისი ღირებულება 20-დან 30 მილიონამდე განისაზღვრებოდა.



საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ გვეხმაურებიან

# სამი ყვავილი...

**„საქართველოს რესპუბლიკა“ რომ ყოველ ნომერში საგულისხმო და სულში ჩამწვდომ რამდენიმე წერილს, ნარკვევს თუ მოგონებებს გვთავაზობს, ამას კარგა ხანია შევეჩვიეთ, ამჯერად 2021 წლის 18 ოქტომბრის №189-ში გამოქვეყნებულ წერილზე „ბოტანიკურის ლამაზი შემოდგომა“ მინდა მოგახსენოთ.**

ქალბატონები როზა ბიძინაშვილი, ეთერ გოგიტაშვილი და ლამარა ასეიშვილი დღესაც ისე ლამაზად გამოიყურებიან, მე ვიტყოდი უფრო მშვენივრად, ვიდრე სამოცი წლის წინათ გადაღებული ფოტოდან ჩანს, წერილის ავტორს, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა ასეთი სულში ჩამწვდომი მოვლენის წარმოჩენისთვის.



ბოტანიკურის ლამაზი შემოდგომა

იმედებით აღსავსე 60 წელი

მრავალჟამიერ, ქალბატონებო...

მე როგორც აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს გულში ისარივით მომხვდა — ბევრი ქართული ჯიში, „აკაკი წერეთელი“, „ვასილ გულისაშვილი“ თურმე ოთხმოცდაათიან წლებში დაკარგულა!

ქალბატონებო, იქნებ დაგვდოთ პატივი და აღგვიწეროთ ყვავილის „აკაკი წერეთელი“ მახასიათებლები და მაცნობოთ!

გულრწფელი მადლობით და კეთილი სურვილებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

**ცეზარ ლაშხი,**
**საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. სხვიტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი.**

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამაბათს, 26 ოქტომბერს

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.1400; ევრო - 3.6553;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3329;
100 რუბლი - 4.4764; თურქული ლირა - 0.3265;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8463;
1000 სომხური დრამი - 6.5842.

**ამინდი 25 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +13 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე | +10 |
| თბილისი: | ღამე | +9, | დღე | +14 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge